ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 ივლისი, 2020 №158 (8422) ფასი: 60 თეთრი

## კახა კოჟორიძე: „ოცნების“ პოლიტიკური დაკვეთაა ოპოზიციის დასჯა“



გვ.3

# თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა პოვნის ადგილზე ევაკუატორითაა მიტანილი





„ჩემმა შვილმა ალბათ ისეთ ინფორმაციაში შეაღწია, რაც არ უნდა სცოდნოდა“

გვ.5

## „გიორგი შაქარაშვილი ტოიოტას მგზავრებმა ჩაახრჩვეს არაგვში“

მირიან ნიკოლაძის განცხადება



გვ.5

## ეკა გიგაური: „წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება ყველას თავს ესხმის“



გვ.2

„ჩვენ არ გვყავს დამოუკიდებელი სამართალდამცავი უწყებები“

## „ოცნებამ“ საქართველო „ცეხად“ გადააქცია“



ოთარ კვირიკაშვილი: „შიდა ქართლში ჩვენ რუსული კაგებე გვებრძვის... „ოცნების“ კანდიდატი ხოჯევანიშვილია, რომლის ბიზნესპარტნიორი ყაზანის საკონდიტრო ქარხნის დირექტორია. ხოჯევანიშვილის შტაბის უფროსი მეზურნიშვილი პუტინის სტიპენდიანტია“

გვ.3

## „ივანიშვილს ინტელექტი ამერიკასთან კი არა, ქართულ ოპოზიციასთან საბრძოლველად არ ეყოფა“

გვ.2



ლევან ბერძენიშვილი: „ქოცების“ თვალში კობახიძის სიდიადე მასზე უფრო კარიკატურული თალაკვაძის ფონზე გამოჩნდა“

## შინაგან საქმეთა მინისტრი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს შეხვდა

გვ.2



ISSN 1987-9385

6 ტრამპმა წამლები გააიაფა

5 წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია დააკავეს

6 ნანტის საკათედრო ტაძარში ხანძრის გაჩენისთვის ბრალი მიგრანტს წაუყენეს

4 სოსო შატბერაშვილი: „1%-იანი ბარიერი არის შანსი უფულო პარტიებისათვის“

# ეკა გიგაური: „წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება ყველას თავს ესხმის“

იაგო ნაცვლიშვილი

რით აიხსნება კრიმინოგენური ვითარების დამძიმება და გაუხსნელი საქმეები? ჩანს თუ არა სისტემური პრობლემები? მოახდენს თუ არა ე. წ. ქუჩა არჩევნებზე გავლენას? არის თუ არა ძალადობის ინსპირაციის მთავარი წყარო ხელისუფლება? 8 მარტის შეთანხმების მიუხედავად, გრძელდება თუ არა აგრესიული და პოლარიზებული საარჩევნო გარემო და პოლიტიზირებული მართლმსაჯულება? – ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს:

***– ვხედავთ, როგორ მძიმდება ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება, ვხედავთ გაუხსნელ საქმეებს. რასთან არის ეს კავშირში, თან, მით უმეტეს, როცა ეს ხდება წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ხომ არ არის კიდევ უფრო სახიფათო?***

– მე ამ გამოძიებებს წინასაარჩევნო პერიოდს ვერ დავუკავშირებდი. იმიტომ, რომ აქ ზოგადად საუბარია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურები არიან ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, როდესაც საქმე შეეხება დანაშაულის პრევენციას და გამოვლენას. აქ ამაზეა საუბარი და ის, რაზეც პრინციპში დღეს მიმდინარეობს დისკუსია – რამდენად ეფექტურები არიან ჩვენი სამართალდამცავები გამოძიების თვალსაზრისით და რამდენად იძიებენ საქმეებს. აქ ლეგიტიმური კითხვის ნიშნები არსებობს საზოგადოების თვალში.

მე ვიტყოდი, რომ აქ ძალიან დიდია მედიის როლი, რადგანაც ჩვენ გვაქვს კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციები, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენი საქმეა, რომლის დეტალებიც ჩვენ არ ვიცით. ვფიქრობ, რომ ჩვენი მოქალაქეების ინტერესები შესაძლოა არ არის დაცული. ბევრი საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეიძლება გვქონდეს კითხვის ნიშნები და შესაძლოა არ იყოს ხარისხიანად ჩატარებული.



## „ჩვენ არ გვყავს დამოუკიდებელი სამართალდამცავი უწყებები“

***– მხოლოდ კითხვის ნიშნები ჩნდება თუ გამოჩნდა ის, რომ საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემებთან? ფაქტობრივად ის კითხვებიც ხომ არ ჩნდება, რომ საერთოდ გვაქვს თუ არა შსს, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ხდება დანაშაულის პრევენცია თუ ეფექტიანი გამოძიებები?***

– მე ვიტყოდი, რომ ჩვენ გვაქვს სამი მნიშვნელოვანი პრობლემა სამართალდამცავ ორგანოებში. პირველია ის, რომ მათ მიმართ ძალიან დაბალი ნდობაა, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. ვფიქრობ, რომ ეს გამოწვეულია იმით, რომ წლების განმავლობაში ჩვენ გვქონია შემთხვევები, როდესაც ისინი არ იყვნენ ეფექტურები და ზოგ შემთხვევაში არ მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და კანონის შესაბამისად. ასევე წლებია ვერ მოვახერხეთ, რომ ჩვენი სამართალდამცავი სისტემები პოლიტიკისგან იყვნენ შორს და არ ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ ამ ხელისუფლების პრობლემაა.

მეორე საკითხი დაკავშირებულია იმასთან, რომ კონკრეტული საქმის გამოძიებებში შესაძლებელია კონკრეტულმა ადამიანმა ან მაღალჩინოსანმა გავლენა მოახდინოს გამოძიებაზე და მათ შორის გაანადგუროს მოპოვებული მტკიცებულებები და ა. შ. ასეთი შემთხვევებიც გვქონია. მესამე არის კვალიფიკაცია. რა თქმა უნდა, ყველა სამართალდამცავზე ამას არ ვსაუბრობ, მაგრამ იგივე სარალიძის საქმეს თუ გავიხსენებთ და თუ შევხედავთ, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები როგორ წარმოადგენდნენ თავიანთ პოზიციას პარლამენტში, დავინახავთ, რომ ბევრ მათგანს აქვს კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. მე უკვე აღარ ვსაუბრობ იმას, რომ რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როდესაც ჩვენს გენერალურ პროკურორს არ ჰქონდა დიპლომი. როცა ამაზე ვსაუბრობთ, ცხადია, ეს გამოიწვევს უნდობლობას. შეიძლება ოჯახის წევრებს გაუჩნდეთ კითხვა, რამდენად სწორად მიმდინარეობს გამოძიება.

***– ხელის დაფარებაც არაერთხელ ვნახეთ სამართალდამცავების მხრიდან.***

– ეგეც ყოფილა და ესეც არაერთხელ მაქვს აღნიშნული. მედია ძალიან აქტიურია და ძალიან მნიშვნელოვანია მისი როლი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენი საქმე შეიძლება იყო, რაც მედიამ ვერ გაიგო. ყველა რესურსი ამოწურვადია და აქაც შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ადამიანების უფლებები ირღვევა.

***– ანუ, სადაც ჩავიხედეთ, ყველგან ხარვეზებია და რომელი საქმეებიც არ ვიცით, რამდენად სწორად მიდის, ამაზე ჩნდება კითხვის ნიშნები და ამას უსვამთ ხაზს?***

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან ლოგიკურია, რომ ბევრ საქმეში შეიძლება იყოს პრობლემა ყველა მიზეზის გამო, რომელიც ჩამოვთვალე. სამწუხაროდ, ამ ყველაფერში არის ის, რომ როდესაც საზოგადოება და მედია სვამს კითხვის ნიშნებს, სამწუხაროა, რომ სამართალდამცავები ვერ პასუხობენ გამოწვევებს და შესაძლოა, ზოგ საკითხებში სამართალდამცავებიც ჩაერიონ, რაშიც, წესით, არ უნდა ერეოდნენ. ამ შემთხვევაში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ივანიშვილს ინტელექტი ამერიკასთან კი არა, ქართულ ოპოზიციასთან საბრძოლველად არ ეყოფა“

## ლევან ბერძენიშვილი: „ქოცების“ თვალში კობახიძის სიდიადე მასზე უფრო კარიკატურული თალაკვაძის ფონზე გამოჩნდა“



იაგო ნაცვლიშვილი

გამოქვეყნდა ამერიკის თავდაცვის აქტი, რომელშიც საქართველოს დახმარებაზეც არის საუბარი. კერძოდ კი, რუსეთის აგრესიისგან თავდაცვის კონტექსტში. ამას ხელისუფლებს თავის გამარჯვებად მიიჩნევს.

აქვს თუ არა გამარჯვების საფუძველი „ქართულ ოცნებას“? არის თუ არა ტესტი არჩევნები მმართველი გუნდისთვის? ასრულებს თუ არა 8 მარტის შეთანხმებას და როგორ უნდა გავიგოთ ირაკლი კობახიძის განცხადება, რომელიც „ფორმულას“ გამოქვეყნებულ კვლევას „სიცრუის ფორმულას“ უწოდებს და ამტკიცებს, რომ „ოცნებას“ 50%-ზე მეტი აქვს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი საუბრობს.

***– როგორია თქვენი შეფასება აშშ-ის თავდაცვის აქტის?***

– ხელისუფლება ყველა შემთხვევას იყენებს იმისათვის, რომ თავის ხალხს თვალებში ნაცარი შეაყაროს. ესაა აქტი, რომელიც ამბობს, რომელი ქვეყნებია აშშ-ის მოკავშირე. საქართველო იყო, არის და იმედია იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე. ამას არანაირი კავშირი არ აქვს იმ კრიტიკასთან, რომელსაც მოკავშირეებს უცხადებს აშშ.

ასე რომ, დიახ, ჩვენ დავრჩით ამერიკის სახელმწიფო ინტერესში, მაგრამ, აქ საამაყო რა არის, არ ვიცი. ეს არის ჩვენი ეპოქალური დამსახურება და ეს მოდის ძალიან ძველი დროიდან.

მეორე კანონი, რომელიც 15%-ით დაფინანსების შემცირებაზეა, სხვა კანონია, რომელშიც გაზრდაც და შემცირებაც დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლებაზე. მას უთხრეს, რომ თუ წესიერად მოიქცევა, თუ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, თუ შეასრულებს 8 მარტის შეთანხმებებს...

***– ასრულებს 8 მარტის შეთანხმებებს იმ ფონზე, რაც გავიგეთ, რომ, მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ახალი საქმე დაიწყეს?***

– სწორედ ესაა მცდელობა, რომ ქართველი ხალხის თვალებში დახატონ, რომ თითქოს აშშ-თან ყველაფერი მოაგვარეს და ირაკლი ოქრუაშვილს ხელახლა დაიჭერთო. მაგრამ ეს არ მოხდება, სიტყვას გაძლევთ. აშშ არც ბრმაა, არც ყრუ და არც ბიძინას მოსატყუებელი. ეს კბილი დიდი ხანია მოცვლილი აქვს. ბიძინა ივანიშვილს ინტელექტი ამერიკასთან კი არა, ქართულ ოპოზიციასთან საბრძოლველად არ ეყოფა. ეს არის საკმაოდ უტვინო კაცი და მისი დამჯერები უსინდისო და უპრინციპო ადამიანები არიან. ეს არის მთელი ამბავი. ისინი შეეცდებიან ამის ასე დაყენებას და ქართველი ხალხი არ დაიშტერებს თავს, რომ თურმე ასე ყოფილა და ამერიკის ელჩი თურმე იმისთვისაა საქართველოში, რომ ბიძინას შეუწყოს ხელი და ამერიკამ ასეთი მოკავშირე არ დაკარგოს, ეს ყველაფერი ღრმად არასერიოზულია.

***– ნიშანდობლივი იყო ელჩ კელი დეგნანის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ სენატორ რიშს ყურადღება უნდა მივაქციოთ. იყო ეს მკაფიო გზავნილი ხელისუფლებისთვის?***

– რა თქმა უნდა. უბრალოდ ელჩი დიპლომატია და დიპლომატიურ ენაზე ლაპარაკობს. როცა ამბობს, რომ მიაქციეთ ყურადღება, ამის შემდეგ ჟურნალისტები და ადამიანები ჩავიხედავთ იმაში, რაც სენატორმა თქვა. ჩავიხედეთ და რურუაზე უთქვამს, გამოუშვითო. მეტი რაღა უნდა ქნას ელჩმა? მართალი გითხრათ, ავტომატს ხელში რომ აიღებს, ეგ ელჩი არაა, მაგრამ პრინციპული რომ ჩანს და საკითხებს სერიოზულად რომ უდგება, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს.

უბრალოდ ჩვენი ხელისუფლება ახლა ცდილობს, რომ რამენაირად მოგვატყუოს. მაგრამ, როგორც შესანიშნავმა მოღვაწემ თქვა, ხალხი შეიძლება მოატყუო ერთხელ, შეიძლება მოატყუო ბევრჯერ, მაგრამ ყოველთვის ვერ მოატყუებ.

***– გგონიათ, რომ ხალხი აღარ მოტყუვდება?***

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხალხი ყოველთვის არ მოტყუვდება. ეს პროცენტული საკითხია – ვიღაცა აუცილებლად მოტყუვდება, ვიღაცას ძალიან უნდა მოტყუვდეს, იმიტომ, რომ მთლიანად თავისი კორუფციით ამ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, საქართველოში ბოლო ერთ წელიწადში ათი მილიონერი დაგვემატა. გასაგებია, რომ მათი რიცხვი პროცენტულად მაღალია საქართველოს პარლამენტში. იქ მილიონერები არა მარტო შესულები არიან, არამედ გაჩნდნენ. ჩემ დროს პარლამენტში მილიონერებიც აღარ იყვნენ და ჩვეულებრივი მოქალაქეები გახდნენ და ახლა ვხედავთ, მაგალითად, ყოფილ სოციალურად დაუცველს, რომელიც ამჯერად მილიონერია. ყველა ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ ერთი კაცის რეკლამას, რომელიც ღარიბი უნდა ყოფილიყო. არსად არასოდეს უმუშავია, სადაც მილიონები უნდა ეშოვა. პარლამენტში როგორ გახდა ასეთი მდიდარი, რომ მისი რეკლამაა მთელ ქალაქში.

***– ვის გულისხმობთ?***

– არის ერთი პირი. მე მგონი, თქვენ თვითონ შეგიძლიათ გაიგოთ, ვინ არის. ვისაც მოჰკრავთ თვალს, ჯერჯერობით ერთადერთია მისი რეკლამა ქალაქში.

***– ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, რომ შიდა კვლევებით „ქართულ ოცნებას“ 50%-ზე მეტი აქვს და „ფორმულას“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებს „სიცრუის ფორმულას“ უწოდებს. რასთან გვაქვს საქმე?***

– ირაკლი კობახიძეზე მინდა გითხრათ, რომ ზუსტად იმ როლს, რასაც ახლა კობახიძე ასრულებს, ადრე სხვები ასრულებდნენ. 2012 წელს, წინა ხელისუფლების ირაკლი კობახიძე აცხადებდა, რომ 65% ჰქონდათ.

***– ვინ იყო მათი ირაკლი კობახიძე?***

– ვინც ჰყავდათ ნაციონალებს სათანადო პოსტზე. ყველას ჰყავს ხოლმე ასეთი ქოფაკი წინ გამოშვებული, რომელიც ყეფს და რამე რომ იყოს, იტყვიან, ეს ხომ ქოფაკია და ეს ჩვენ ვართ.

***– ვინ იყო მაშინ ასეთი? სახელი და გვარი გვითხარით.***

– სახელისა და გვარის თქმა რომ მინდოდეს, ვიტყოდი. სახელებსა და გვარებს კარგად ვიმახსოვრებ ბავშვობიდან. თქვენი ნებართვით არ დავასახელებ სახელს და გვარს. კობახიძისგან განსხვავებით, ის კარგი ადამიანი მაინც იყო. ეს კიდევ რა არის, მე მგონი, თვითონაც არ იცის.

მოკლედ, ირაკლი კობახიძე რომ ამბობს, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერს რასაც ის იტყვის, ჩვენ ამას უკუღმა უნდა შევხედოთ და უნდა ვთქვათ, რომ თურმე, არ აქვთ 50%. ეს რომ ასე იყოს, კობახიძე არავითარ შემთხვევაში არ იტყოდა. მას არ აქვს უნარი, სიმართლე თქვას.

***– როცა კერძო ტელეკომპანიას „სიცრუის ფორმულას“ უწოდებს, ეს რაზე მიანიშნებს? ასე ეშინიათ მედიის?***

– რა თქმა უნდა, ეშინიათ და რატომ არ უნდა ეშინოდეთ?! მაგალითად, „მთავართან“ მათ დაადგინეს, რომ ეს მტრის ტელევიზიაა და ამიტომ მასზე არ ლაპარაკობენ. ახლა გაჩნდა სხვა მეტოქეები, რაზეც უნდა თქვან, რომ ესეც მტრის ტელევიზიაა. მთელი მსოფლიო ეუბნება, რომ ოპოზიციას ელაპარაკეო და აქ გაირკვევა, რომ ოპოზიცია კი არ ჰყავთ, არამედ მტრები.

დემოკრატიის მთელი არსია, რომ ოპოზიციაში მტერი კი არ დაინახო, არამედ კონკურენტი. ირაკლი კობახიძის თავში ეს არ შევა, რადგან ის პოლიტიკოსი არ არის, მას არასოდეს არ გაუვლია არანაირი პოლიტიკური წრთობა. ისე გახდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომ საბავშვო ბაღის დირექტორიც კი არ ყოფილა და არც მოადგილე. ის კი არა, მანამდე პარლამენტარიც არ ყოფილა.

საქართველოს პარლამენტი რომ ჰგონიათ რაღაცა და რომ რაღაცას მივაღწიეთ, ასე არაა. ჩვენ ვართ ახალგაზრდა დემოკრატია და ახალი პარლამენტი გვაქვს და ბევრი სისულელე გვაქვს ხოლმე, მაგრამ ირაკლი კობახიძე ჩვენთვისაც კი მეტისმეტია.

ერთადერთი, რაც მას ამაღლებს, არის ის, რომ მაგის მერე კიდევ უფრო კარიკატურული თავმჯდომარე ჰყავს პარლამენტს. ამან ხაზი გაუსვა ირაკლის გარკვეულ სიდიადეს გულმხურვალე ქოცების თვალში.



# შინაგან საქმეთა მინისტრი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელთან, მარეკ შჩიგელთან გაცნობითი შეხვედრა გამართა.

ვახტანგ გომელაურმა მარეკ შჩიგელს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში არსებული კრიტიკული ვითარება განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა საქართველოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესის ფონზე ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობის განსაკუთრებულ როლზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ერთადერთ ქმედით საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ პოლიტიკური დაკვეთაა ოპოზიციის დასჯა“

## კახა კოჟორიძე: „რა რეფორმა უნდა ჩაატაროს გახარიამ, რომელიც ვერ იაზრებს ელემენტარულს, როდესაც პირადად მის მიმართ არის კითხვები 20 ივნისთან დაკავშირებით“

ნათია ხურცილავა

**„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და გამოსავალზე საუბრობს.**

***– ბატონო კახა, პრემიერმა გახარიამ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე ისაუბრა. რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამას და რამდენად გაქვთ ამის მოლოდინი?***

– სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ რეფორმა ესმის, როგორც კანონში რაღაც ცვლილება. მერე ამ ცვლილების განხორციელებას ჩააბარებენ ყველაზე უფრო კორუმპირებულ, უსამართლო ადამიანს. ამის მაგალითია სასამართლო სისტემის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. პირველი, მესამე, მეოთხე ტალღებად მონათლული სასამართლო სისტემის რეფორმა ყველაზე უსამართლო, მაფიოზ კლანის წევრებს ჩააბარეს.

არანაირი საკანონმდებლო ცვლილებები ამ სისტემას არ უშველის თუ ყველაფერი არ შეიცვალა. ამ პოლიტიკური ჯგუფს არანაირი რეფორმის განხორციელების უნარი არ აქვს და, რაც მთავარია, არ აქვს არანაირი პოლიტიკური ნება.

არ გამოვრიცხავ საზოგადოების თვალში ნაცრის შესაყრელად, საჩვენებლად რაღაც გააკეთონ. რა რეფორმა უნდა ჩაატაროს გახარიამ, რომელიც ვერ იაზრებს ელემენტარულს, როდესაც პირადად მის მიმართ არის კითხვები 20 ივნისთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობა ავიღეო, რაში გამოიხატა, პრემიერად დაწინაურებაში?! ამ სისტემას, ამ პოლიტიკური ძალის ხელში არ აქვს რეფორმირების პერსპექტივა. სამართალდამცავი სისტემის სისტემურ ხარვეზზე, სისტემურ პრობლემაზეა საუბარი, რაც მისი გამართულად ფუნქციონირების კრახს განაპირობებს.

***– სისტემის მთავარ ხარვეზად რას გამოყოფდით?***

– პირველი, ეს არის პოლიტიკურ დაკვეთაზე ორიენტირებული სისტემა. დაკვეთა არის ხელის დაფარება პოლიტიკურად ლოიალურად განწყობილების მიმართ და ოპოზიციის დასჯა. კანონის წინაშე თანასწორობა საერთოდ უგულებელყოფილია.

მეორე, ასეთ სისტემას პროფესიონალიზმი არ სჭირდება. პროფესიონალს ყოველთვის უჩნდება კითხვა, პროტესტი. კითხვა და პროტესტი კი ამ სისტემას არაფერში არ სჭირდება. პირიქით, ამ სისტემას პროფესიონალიზმის ეშინია. პროფესიონალიზმში „ქართული ოცნება“ იდეოლოგიურ მტერს ხედავს. ამიტომ, აქცენტი პროფესიონალიზმის საპირისპიროდ კეთდება, მორჩილების



სასარგებლოდ.

თავის დროზე „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილ სისტემას, სისტემურ უსამართლობას ვითომ დაუპირისპირდა, მაგრამ მთელი აპარატი თავისი მანკიერებით სრულად გადაიბარა და საკუთარ პოლიტიკურ სამსახურში ჩააყენეს.

***– ბოლო გახმაურებულმა საქმეებმა ჟურნალისტური გამოძიების პარალელურად გამოავლინა კვალიფიკაციის დაბალი დონე. სისტემისთვის ეს არის რეალური გამოწვევა?***

– კვალიფიკაცია არის სისტემური პრობლემა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა პოლიტიკური პრობლემაა, პოლიტიკური ნების არ არსებობა, რომ ქვეყანას ჰყავდეს აპოლიტიკური მართლმსაჯულების სისტემა. საქართველოში კადრების პრობლემა არ არის. პრობლემა არის კარის მსახურებზე ორიენტაციის გაკეთება. თავისუფლად, კრიტიკულად მოაზროვნე, გონიერი ადამიანი ხელისუფლების უსიტყვო მონობას არ დამორჩილდება. „ოცნებას“ კი სჭირდება ის ხალხი, ვინც უსიტყვო მონობაზეა თანახმა. ამიტომ არის საჭირო ცვლილებები, ამაზე წლებია ვსაუბრობ, როგორც გულანთებული, რომელსაც რეალურად უნდა არსებული სისტემის ცვლილება და ამიტომაც გადავდგი ნაბიჯი პოლიტიკისკენ. ნებისმიერი რეფორმა მკვდრადშობილი იქნება თუ სათავეში ღირსეული პროფესიონალი არ ჩაუდგა.

***– თქვენი პოლიტიკური ძალა შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას ითხოვს. შეიძლება წინასაარჩევნოდ გომელაური მართლაც შესწირონ?***

– არაფერი არ არის გამორიცხული, მით უფრო, წინასაარჩევნოდ. ბიძინა ივანიშვილს თუ დასჭირდა, გომელაურს კი არა, მთელ უმრავლესობას შესწირავს საკუთარ პოლიტიკურ უსაფრთხოებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადააყენებენ თუ არა გომელაურს არ ვიცი. თუმცა, სისტემის სრული კრახის მოწმენი ვართ და ამიტომ, არაფერს არ გამოვრიცხავ, შეიძლება მართლაც გადააყენონ. ერთი მხრივ, ასეც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება არც არაფერი არ მოხდეს, ამის გამოცდილებაც გვაქვს. ფაქტი კი ერთია, სისტემა ურთულეს მდგომარეობაშია.

***– რა არის გამოსავალი?***

– მოქალაქეების აქტიურობა და სისტემის სრულად შეცვლა. აპოლიტიკური სისტემა, სისტემის დეპოლიტიზაცია არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

# „ოცნებამ“ საქართველო „ცეხად“ გადააქცია“

## ოთარ კვირიკაშვილი: „შიდა ქართლში ჩვენ რუსული კაგებე გვებრძვის... „ოცნების“ კანდიდატი ხოჯევანიშვილია, რომლის ბიზნესპარტნიორი ყაზანის საკონდიტრო ქარხნის დირექტორია. ხოჯევანიშვილის შტაბის უფროსი მეზურნიშვილი პუტინის სტიპენდიანტია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ წევრი ოთარ კვირიკაშვილი პასუხობს.**

***– ოთარ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? ვხედავთ, რომ უჭირთ შეთანხმება. თბილისში ორ ოლქში კიდევ ვერ შეთანხმდნენ. რეალურად ვერ აღიქვამს ოპოზიცია იმ საფრთხეს, რაც შეიძლება მოხდეს არჩევნებზე?***

– ოპოზიციის ერთ ნაწილში არის ასეთი განწყობა, რომ მთავარია ჩვენი იყოს და აღარ უყურებენ იმას, ვის რა რეიტინგი აქვს რეალურად. რაც არ უნდა მაღალი რეიტინგი ჰქონდეს რომელიმე ოპოზიციურ კანდიდატს, მაინც ცდილობენ, რომ თავისი კადრი დააყენონ საერთო კანდიდატად. თუკი ასეა, მაშინ რაღაზე ვებრძვით „ოცნებას“?! იქაც ხომ ეს პრობლემებია. ნეპოტიზმია, საკუთარ კანდიდატებს ტენიან ყველგან, თავისი პროტეჟეები ჰყავთ და რისთვისღა ვებრძვით?! აი ეს გამოიკვეთა საერთო ოპოზიციური კანდიდატების განხილვისას. თუმცა თბილისში მეტ-ნაკლებად ექვსი ოლქი მაინც დალაგდა. ორ ოლქზე ჯერჯერობით პრობლემაა. იმედია, იქაც ისე დალაგდება, რომ ოპოზიციური კანდიდატი გაიმარჯვებს.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი აცხადებს, რომ საბურთალოზე თაკო ჩარკვიანს დაუჭერს მხარს. ასევე „ლელოდან“ ჯაფარიძე იყრის კენჭს. ხმები სერიოზულად გაიყოფა. ეს წამგებიანი არ არის?***

– რა თქმა უნდა, გაიყოფა. თაკო ჩარკვიანის არც პირადი ჯინი ჭირს არავის და არაფერი, მაგრამ რეალურად ხომ უნდა შევხედოთ სიტუაციას?! ის არ არის კონკურენტუნარიანი კანდიდატი. თუკი ოპოზიციის ერთი ნაწილი, ყველაზე დიდი გაერთიანება, როგორც თვითონ ეძახიან თავის თავს, ასეთ კანდიდატზე ჯერდება, ფაქტიურად, ამით ხაზს უსვამს იმას, რომ მთავარია, ადამიანი მათი ინტერესების გამტარებელი იყოს და არავინ არ უყურებს რეალურად რეიტინგებს. ასევეა მათი დამოკიდებულება რეგიონებთან მიმართებაში.

***– საუბარია, რომ რეგიონებში ყველას თავისი კანდიდატი ეყოლება.***

– რეგიონებთან მიმართებაშიც იგივე პრინციპს ატარებენ, რასაც ჩარკვიანთან მიმართებაში. რეალურად ამით იკვეთება ტენდენცია, რომ მათ ხელისუფლების ცვლილება კი არ უნდათ, მათ უნდათ ის, რომ ოპოზიციაში ჰქონდეთ პირველის სტატუსი.

***– მთავარი ოპოზიციონერის ტიტულისთვის იბრძვიან?***

– ფაქტიურად ასე გამოდის. მათი ქმედებები ამაზე მეტყველებს. ამ დროს კი „ოცნება“ მთელი თავისი სახელისუფლო რესურსით, სუსით, ადმინისტრაციული რესურსით, დიდ ფულით და აბსოლუტურად ყველაფრით გებრძვის ისე, როგორც რინგზე ახვიდე ცარიელი ხელებით ავტომატიან ადამიანთან. ამ დროს კი ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს უშლიან ხელს.

***– ოთარ, ირაკლი ოქრუაშვილმა თბილისში მაჟორიტარ კანდიდატობაზე უარი თქვა. რა ხდება რეგიონებში. გეყოლებათ თქვენი კანდიდატები? როგორც ვიცი, გორში თქვენი კანდიდატურა განიხილება.***

– გორში რეალურად ასეთი სიტუაციაა, მალე გადაწყდება ჩვენიდან ვინ იქნება.

***– ჯერ არ გადაწყვეტილა?***

– გადაწყვეტილია, მაგრამ რამდენიმე დღეში ოფიციალურად ვიტყვით. რეალურად, გორში ერთ მხარეს ვართ ჩვენ, თანამედროვე ქართული ჯარის დამფუძნებელი ოქრუაშვილი, მისი გუნდი და მეორე მხარეს არის, არა სუსი, არამედ კაგებე. რუსული ინტერესების გამტარებელი ჯგუფები. ამას არ ვამბობ ისე, რომ თითქოს სურათს ვამძაფრებდე.

***– გორში „ოცნების“ კანდიდატი ხოჯევანიშვილია.***

– დიახ, ხოჯევანიშვილი, რომელსაც ბიზნესინტერესები აქვს რუსეთში, რომლის ბიზნესპარტნიორი ყაზანის საკონდიტრო ქარხნის დირექტორია და ასე შემდეგ. ძალიან დიდი ინტერესები აქვს რუსეთში ამ ადამიანს. ასევე მისი მხარდამჭერები აქ, ადგილზე, შს მინისტრის მოადგილე, კახა საბანაძე, მამამისი, რომელსაც რუსეთში აქვს კაგებეს სასწავლებელი გავლილი და რუსული გავლენებია მათ მხარესაც. ასევე მეზურნიშვილი, ვინც ახლა დანიშნეს ხოჯევანიშვილის შტაბის უფროსად, მოქმედი პარლამენტარი, ეს ადამიანი რუსეთშია გაზრდილი, პუტინის სტიპენდიანტია, ფაქტიურად რუსული ინტერესების წარმომადგენელი და შევარდნაძის დროინდელი რუსეთის კონსულის შვილი. რეალურად ბრძოლა გვიწევს რუსული სპეცსამსახურების წინააღმდეგ.

***– ნაციონალურ მოძრაობასაც ჰყავს კანდიდატი გორში...***

– დანარჩენებს არც განვიხილავ კონკურენტებად, რადგან ძირითადი ბრძოლა ჩვენ შორის წავა. ჩვენსა და რუსულ კაგებეს შორის. არავითარი „ქართული ოცნება“ აქ არაფერ შუაში არ არის. ან რა საერთო აქვთ ამ ადამიანებს „ოცნებასთან“.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ხოჯევანიშვილი 2011-2013 წლებში ციხეში ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და რაც მაშინ ხდებოდა უბედურება, კვლა და წამება, ფაქტიურად ყველაფერი მაგის თვალწინ მიდიოდა.

***– ამას რომ არ ადასტურებს?***

– ახლა კი ცდილობს აირიდოს ამ ადამიანმა ეს ტვირთი და აცხადებს, რომ თითქოს და მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორებთან უწევდა ურთიერთობა, თუმცა ერთი რეპორტიც კი არა აქვს მომზადებული იმ ციხის უბედურობებზე, რაც მაშინ ხდებოდა. ეს მარტო ციხის კადრები ხომ არ იყო?! ძალიან მოკლე მეხსიერება უნდა გქონდეს, რომ ის უბედურებები არ გახსოვდეს, რაც იმ დროს ხდებოდა. ამას ვერ აირიდებს. მისი ძმა კი ოდეერი იყო ნაციონალების დროს, ეკონომიკის სამინისტროში. შემდეგ იყო ვანო მერაბიშვილის თანაშემწე, რომელიც არის ორი გვამის კადრებშიც. იყო გენინსპექციის უფროსი. ახლა ამ ადამიანებს როგორ შეიძლება „ოცნება“ უწოდო?! როცა ჩვენ ციხის კადრებს ვაპროტესტებდით, ეს ადამიანები იმ რეჟიმს ამაგრებდნენ. პლუს ამას ძალიან დიდი კავშირები რუსეთთან.



***– დანარჩენი კანდიდატები?***

– დანარჩენებს არც კი განვიხილავ კონკურენტებად. რეალური ბრძოლა გაიმართება ჩვენ შორის. გორში ირაკლი ოქრუაშვილის რეიტინგი, ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის რეიტინგზე ორჯერ მეტია. ჩვენ იმის შანსიც გვაქვს, რომ პირველივე ტურში ხოჯევანიშვილსაც კი მოვუგოთ. ნაციონალურმა მოძრაობამ ვისი კანდიდატურაც არ უნდა დააყენოს, თვით სააკაშვილიც რომ ჩამოიყვანონ, გორში არანაირი შანსი არა აქვთ!

***– ოთარ, ხელისუფლებაზე ვსაუბრობთ და კეთდება შეფასებები, რომ ძალიან დაუმძიმდათ ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციაო. გახმაურებული მკვლელობები... რა ხდება, წინასაარჩევნოდ ასე რატომ გაექცათ სიტუაცია?***

– რეალურად, „ქართული ოცნება“ შეერწყა კრიმინალს! ეს აღარ არის დასამალი. მათ ფაქტიურად კრიმინალები ჩამოჰყავთ ქვეყანაში. ვიღაცა ციხეშია, ციხიდან გამოჰყავთ, ვიღაცა საზღვარგარეთაა, იქიდან ჩამოჰყავთ. შემდეგ ამ კრიმინალურ ელემენტებს სუსი მფარველობს. მიდის გარჩევები, მერე ერთმანეთში ვერ თანხმდებიან და ერთმანეთს ხოცავენ. იგივე ფოთში რაც მოხდა.

***– ოთარ, რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს შაქარაშვილის და ბაჩალიაშვილის საქმეების გამოძიება?***

– აქ უკვე ცალსახაა, ბავშვიც კი მიხვდება, რომ ხელისუფლება ცდილობს ჩაფარცხოს ეს საქმეები.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# პოლონეთში საქართველოს პოლიციის ატაშე ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს

პოლონეთის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრის, მარიუშ კამინსკის გადაწყვეტილებით, პოლონეთის ეროვნული პოლიციის 101-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, პოლიციის წინაშე დამსახურებისთვის, პოლონეთში საქართველოს პოლიციის ატაშე, პოლკოვნიკი გიორგი გამსახურდია ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს.

გიორგი გამსახურდიას ჯილდო საზეიმო ვითარებაში გადასცა პოლიციის მთავარმა კომენდანტმა, გენერალ-ლეიტენანტმა, დოქტორმა, იაროსლავ შიმჩიკმა, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა გიორგი გამსახურდიას უნიკალური ცოდნა, პროფესიონალიზმი, გამოცდილება და პიროვნული ჩართულობა საერთაშორისო სამართლებრივ დევნაში (ინფორმაციის გაცვლა, ტრენინგებში თანამშრომლობა და ა.შ.), რაც ხელს უწყობს ორ სახელმწიფოს შორის სათანადო, მეგობრული და ღია ურთიერთობების დამყარებასა და პოლიციათა შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

იაროსლავ შიმჩიკის თქმით, პოლკოვნიკი გიორგი გამსახურდია განსაკუთრებით დიდ მხარ-




დაჭერას უცხადებს პოლონეთის პოლიციის საქმიანობას, პოლონეთში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით, როგორც ოპერატიული, ასევე საგამოძიებო მოქმედებების ნაწილში. მან ასეთი თანამშრომლობის მაგალითად დაასახელა გიორგი გამსახურდიას მონაწილეობა ქალაქ ტრუიმიასტოს (ქ.სოპოტის) ტერიტორიაზე 2020 წლის 17 ივლისს, რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, სახიფათო და იმპულსური პირის დაკავების ღონისძიებაში. დაკავებული რუსეთში და სხვა ქვეყნებში ნარკოტიკების კონტრაბანდის, მანქანების ქურდობის, ბინების ძარცვისა და გამოძალვის სფეროში მოქმედ კრიმინალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

იაროსლავ შიმჩიკმა აღნიშნა, რომ გდანსკის სავოევოდო პოლიციის კომენდატურის და ანტიტერორისტული დანაყოფის თანამშრომლებმა აღნიშნული პირის დაკავება გიორგი გამსახურდიას მიერ შემუშავებული დეტალური ზომების წყალობით შეძლეს და სპეცოპერაცია ეფექტურად და უსაფრთხოდ ჩატარდა.

პოლონეთის ეროვნული პოლიციის 101-ე წლისთავისადმი გამართულ ღონისძიებაზე პოლონეთის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრმა მარიუშ კამინსკიმ, პოლიციის მთავარმა კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა იაროსლავ შიმჩიკმა და მისმა მოადგილეებმა კანდელი დაანთეს და გვირგვინებით შეამკეს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკი „დაღუპულ პოლიციელებს – პოლონეთის რესპუბლიკა“ და ასევე მემორიალური დაფა პოლიციის მთავარ კომენდატურაში. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი

გიორგი გამსახურდიას დაჯილდოების შესახებ ინფორმაციას პოლონეთის ეროვნული პოლიცია ოფიციალურ ვებ გვერდზე აქვეყნებს.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

2020, 27 ივლისი, №158

# სოსო შატბერაშვილი: „1%-იანი ბარიერი არის შანსი უფულო პარტიებისათვის“

## „მაჟორიტარების 99% ერევა თავისი ოლქის საკადრო პოლიტიკაში და იცავს საკუთარ ბიზნესს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ რთულ კრიმინოგენულ, ასევე პოლიტიკურ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**



***– ქვეყანაში ისეთი დანაშაულები ხდება, რომ ადამიანებს ეშინიათ, შვილები სადმე მარტო გაუშვან. ხალხში უკვე იმასაც გაიგონებ, რომ „ოცნების“ ხელისუფლება ამ მხრივ ნაციონალებისაზე უკეთესი არ არის და რომ ახალგაზრდები მაშინაც იხოცებოდნენ და ახლაც იხოცებიან. რას იტყვით?***

– კრიმინოგენული ვითარება ცუდია, მაგრამ მე ამ მდგომარეობას სააკაშვილის რეჟიმს ვერ შევადარებ. მაშინ სრულდებოდა სააკაშვილის მოწოდებები – „ხელი არ აგიკანკალდეთ“ და „ყველანი ციხეში“. იმ დროს დახოცეს, მათ შორის, ქუჩებში 200-მდე ახალგაზრდა. ყველას გვახსოვს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოწყობილი ციხის ყალბი ბუნტი, ასევე ნაწამები სულხან მოლაშვილი. არანაკლებ მძიმე იყო პრემიერ ჟვანიას საეჭვო დაღუპვა და პრეზიდენტობის კანდიდატის, პატარკაციშვილის გარდაცვალება. ადამიანებს ახრჩობდნენ ტბებსა და შავ ზღვაში. ახალ ასეთი მდგომარეობა ნამდვილად არ არის. შაქარაშვილისა და ბაჩალიაშვილის საქმეები მძიმეა, მაგრამ ამ ორი საქმის გამოძიება ჯერჯერობით მიმდინარეობს. დავიცადოთ. იქნებ, ხსნიან საქმეებს. თუ ისინი არ გამოიძიეს, პირველი მე გამოვალ და გავაპროტესტებ.

***– ითვლება, რომ მტკიცებულებების განადგურების შემთხვევაში გამოძიება გართულდება.***

– შაქარაშვილის საქმეზე ახალი გარემოებები, ახალი ფიგურანტები გამოიკვეთა. შერლოკ ჰოლმსის დროს არანაირი ტექნიკა არ არსებობდა, არც ვიდეოკამერები იყო, არც სატელეფონო საუბრები და შეტყობინებები, არც საექსპერტო ბიუროები. ამის მიუხედავად, შერლოკ ჰოლმსი ხშირად მარტო და ხან-დოქტორ ვატსონთან ერთად ხსნიდნენ ჩახლართულ ამბებს. ეს დანაშაულებიც გაიხსნება. მთავარია, რომ აქ სახელმწიფოს ბრალეულობა არ არის. სახელმწიფოს დანაშაული არ იკვეთება. დაღუპულების ოჯახებმა მიმართეს დამოუკიდებელ ექსპერტებს, მათ ჰყავთ ცნობილი ადვოკატები. ამავე დროს გამოძიებით არიან დაკავებული მედიის წარმომადგენლები. ამას ემსახურება 5 ტელევიზია. ნაციონალების დროს ბევრად უარესი ხდებოდა. ერთში ვეთანხმები ნაციონალებს – კრიმინოგენული მდგომარეობა მძიმეა. შს სამინისტროში გასატარებელია რეფორმები. ამას თავად პრემიერიც კი აღიარებს. ნაციონალები იმასაც ამბობენ, ჩვენ მოვალთ და ყველაფერს გამოვასწორებთო. ეს ტყუილია. ისინი არაფერს გამოასწორებენ. მომავალი ეკუთვნის მრავალპარტიულ პარლამენტს.

***– ახლანდელი მოდელით მიიღწევა მრავალპარტიული პარლამენტი?***

– ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მრავალპარტიული პარლამენტის საფუძველთა საფუძველი არის პროპორციული, ანუ პარტიული პარლამენტი. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ თავისი დაპირება არ შეასრულა და ჩვენ შემოგვთავაზეს სხვა მოდელი, რომელიც წინაზე უკეთესია. მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას ჩვენ 2000 წლიდან მოვითხოვთ. ოპოზიციაში ყოფნისას ამასვე მოითხოვდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც შემდეგ „ოცნებაში“ აღმოჩნდნენ. 2000 წელს შევარდნაძეს ვადა ეწურებოდა და ვაყენებდით საარჩევნო სისტემის შეცვლის საკითხს. მაჟორიტარული სისტემა სხვაგან ამართლებს, საქართველოში კი – არა. მაჟორიტარები არ აკეთებენ საქმეს. სამაგიეროდ, უკანონოდ ერევიან საკადრო პოლიტიკაში და ზრუნავენ საკუთარ თავსა და ახლობლებზე. მაჟორიტარების 99% ერევა თავისი ოლქის საკადრო პოლიტიკაში და იცავს საკუთარ ბიზნესს. მათი სიმბოლოა კახა ოქრიაშვილი. ეკა ბესელიაც ერეოდა იმაში, თუ ფოთში ვინ სად რაზე უნდა დაენიშნათ. არაერთხელ მიმიღია მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა. ხალხთან კარგი ურთიერთობაც მქონია, მაგრამ, ყველა შემთხვევაში მაჯობეს კანდიდატებმა, რომლებსაც ხალხი სულ არ იცნობდა. მათ ჰქონდათ ბევრი ფული და იგებდნენ ფულით. ნაციონალებს როცა აწყობდათ, მაჟორიტარული სისტემა მოსწონდათ. სააკაშვილი ამბობდა, რომ მაჟორიტარები ხალხს ემსახურებიან, სიით გასულები კი – პარტიის ლიდერებს. დღეს ნაციონალებმა იცვალეს სახე, ზნე და ფერი და საპირისპიროს ამბობენ.

***– „ოცნების“ წარმომადგენლებმაც ხომ განიცადეს ფერიცვალება?***

– დიახ. პოლიტიკოსები ამ მოთხოვნით შიმშილობდნენ კიდეც. მას შემდეგ, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ისინი სხვანაირად ალაპარაკდნენ.

***– ახლანდელი მოდელით რა მოხდება?***

– 1%-იანი ბარიერი არის შანსი უფულო პარტიებისათვის. ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას არც ბანერის დაბეჭდვა უჭირს, არც ბუკლეტის დაბეჭდვა და არც სატელევიზიო რეკლამის ყიდვა. ჩვენ არც ივანიშვილი გვყავს, არც კეზერაშვილი და ჩვენთვის ბარიერის დაწევა შეღავათია. ალბათ, ამ მოდელით ჩატარებული არჩევნებით დაახლოებით 6 პარტია მოხვდება პარლამენტში.

***– ბლოკში შესვლას არ გეგმავთ?***

– არ არის გამორიცხული. ამაზე კონსულტაციებს ვმართავთ. დანარჩენს შემდეგ მოგახსენებთ. ხალხმა არ უნდა დაუშვას ისეთი ძალის მოსვლა, რომელიც დესტრუქციაზე, რევოლუციასა და არეულობაზე ფიქრობს. ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას.

***– ამას რის საფუძველზე ამბობთ?***

– სააკაშვილის განცხადებების ადრინდელ და ახლანდელ საფუძველზე. გავიხსენოთ სააკაშვილისა და ადეიშვილის, სააკაშვილისა და გვარამიას საუბრები. სააკაშვილი ახსენებს სისხლისღვრას. ის საუბრობს იმაზე, რომ სასურველია მსხვერპლი, მაგალითად, ფეხმძიმე ქალი და ა. შ. შარშან 20-21 ივნისის ამბებზე სააკაშვილმა თქვა, ივანიშვილის ხელისუფლება წკიპზე ეკიდაო. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არ აღიარებენ, რომ რევოლუცია და გადატრიალება უნდათ. ამას სააკაშვილი ამბობს. სხვათა შორის, ნაციონალებს არც ერთი არჩევნები ნორმალურად არ მოუგიათ. 2003 წლის გადატრიალების შემდეგ რევოლუცია გაგრძელდა და წესიერი არჩევნები არ გამართულა, 2007 წელს ძალაუფლება უკვე უზურპირებული იყო, 2008 წელს არჩევნები მასობრივად გაყალბდა.

***– 2012 წელს ნაციონალებმა ჩაატარეს არჩევნები?***

– დიახ. მაშინ ისეთი მუხტი იყო და ივანიშვილი ხალხს ისეთ დაპირებებს აძლევდა, რომ მას ადამიანებმა ნდობა გამოუცხადეს. თითქმის ყველა მივიდა საარჩევნო უბანზე და გაყალბება მასობრივი არ ყოფილა. ნაციონალები იძულებული იყვნენ, საკუთარი დამარცხება ეღიარებინათ. ხალხი მიიზიდა ივანიშვილის დაპირებებმა 100 საწარმოს შექმნის, ტარიფების განახევრების, იაფი ფულის, სოფლის მეურნეობის მილიარდებით ინვესტიციებით დაფინანსების, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების შესახებ. მართალია, ეს დაპირებები დღემდე ვერ შესრულდა, მაგრამ ამ ხელისუფლებას აქვს დადებითი მხარეები. „ოცნების“ მოსვლის შემდეგ შეწყდა ომის რიტორიკა.

***– ბორდერიზაცია კი მიმდინარეობს.***

– ბორდერიზაციაც და პროვოკაციებიც გრძელდება, მაგრამ ჩვენ არ ვართ ჩაბმული ომში და ეს კარგია. ჩვენ რუსეთს ომს ვერ მოვუგებთ.

***– ამ ხელისუფლებას დასავლეთი სერიოზულად აკრიტიკებს. თუ არ შესრულდა გარკვეული პირობები, აშშ საქართველოს დახმარების 15%-ს შეუმცირებს. ამაზე რა მოსაზრება გაქვთ?***

– ეს არის ლობისტურ ორგანიზაციებზე დახარჯული მილიონების შედეგი. აშშ-ის ოფიციალურ ხელისუფლებას (აღმასრულებელ ხელისუფლებას) საქართველო ისევ სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნია. ამას ადასტურებს აშშ-ის ელჩი. ნაციონალური მოძრაობა მარტო ქვეყნის შიგნით კი არ მოქმედებს დამანგრევლად, არამედ, გარეთაც. თუ დახმარება შეგვიმცირდა, ამით იზარალებს სახელმწიფო და ხალხი. ჩინოსნებს და მსხვილ ბიზნესმენებს ამით არაფერი დააკლდებათ. თუ მათ აუკრძალავენ შესვლას აშშ-ში, ისინი არც ამით დაისჯებიან. არ წავლენ ამერიკაში, სამაგიეროდ, წავლენ იტალიაში, ესპანეთში და ა. შ. არ მინდა, რომ საქართველოს დახმარება შეეკვეცოს, იმიტომ, რომ ამით დაზარალდება ერი, ხალხი.

# ეკა გიგაური: „წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება ყველას თავს ესხმის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ვგულისხმობ. ისინი ვერ ახერხებენ, რომ დაარწმუნონ საზოგადოება იმაში, რომ ყველაფერი კეთდება კონკრეტული საქმის გამოსაძიებლად.

***– ამ ყველაფრის თავი და თავი ეს არის, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ჩარეულია დიდი დოზით საგამოძიებო საქმიანობაში?***

– კი, ამ მიზეზებზე ვისაუბრე და ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს არის, რომ ჩვენ არ გვყავს დამოუკიდებელი სამართალდამცავი უწყებები. ძალიან ბევრი წელია ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენი სამართალდამცავი უწყებები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, უნდა იყვნენ აპოლიტიკურები, უნდა მოქმედებდნენ კანონის შესაბამისად. რა თქმა უნდა, მათ საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს არც მმართველი პარტია და არც სხვა, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს ის. ამიტომ, როდესაც ეს პრობლემა კვლავაც რჩება და როდესაც თვითონ შეიძლება ეგონოთ სამართალდამცავებს, რომ ისინი არა საზოგადოებას, არამედ კონკრეტულ პარტიას ემსახურებიან, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის ბევრ პრობლემას. ამიტომ ეცემა ნდობა და ეს არის ერთერთი მიზეზი, რაც ქვეყნისთვის ძალიან ცუდია. თუ ასე იქნება, ეს სიტუაცია შეიძლება ნებისმიერმა პირმა გამოიყენოს სათავისოდ. მათ შორის კონკრეტულმა ადამიანმა, რომელიც კრიმინალურ საქმიანობაშია ჩართული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის წინაშეც ვდგავართ და მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემები მოვაგვაროთ.

***– რაც შეეხება არჩევნების კონტექსტს, ამაზე რა შეფასებას გააკეთებდით, მაშინ, როცა ვხედავთ „ქურდის“ გააქტიურებას? წინასაარჩევნოდ ამან რა გავლენა შეიძლება მოახდინოს შედეგებზე და ხომ არ არის ეს ყველაფერი ქვეყნისთვის სახიფათო?***

– მე ვიტყოდი, რომ უბნის გარეთ რა პროცესებიც ვითარდება არჩევნების დღეს, ამას ჩვენ ნაკლებად ვაკვირდებით. იმიტომ, რომ ჩვენი დამკვირვებლები საარჩევნო უბანზე არიან და ჩვენ კონკრეტული მტკიცებულებები არ გვქონია, რომ ამ პროცესში კრიმინალები არიან ჩართულები. ან ის პირები, რომლებსაც „ქურდულ სამყაროსთან“ ან სხვა ჯგუფებთან აქვთ კავშირები. თუმცა, ამაზე ხშირად საუბრობენ მედია და პოლიტიკოსები, რომლებიც თავად მონაწილეობენ არჩევნებში. როგორც ჩანს, ეს არის გამოწვევა და პრობლემა. რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს შეუძლიათ კონკრეტულ ჯგუფებთან იმუშაონ და დაშინებაშიც მიიღონ მონაწილეობა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც გავლენის ქვეშ მოექცევიან და ხმას მისცემენ იმ პარტიას, რომელსაც ისინი მხარს არ უჭერენ, რაც ცუდია. ამაზე ლაპარაკობენ ის ადამიანებიც, რომლებიც არჩევნებს გეგმავენ ხოლმე. ეს საარჩევნო გარემოსთვის ცუდია.

***– გვახსოვს კონკრეტული ფაქტები, თუნდაც კორცხელის ინციდენტი, სადაც მუშტი-კრივი იყო, მაგრამ არავინ დასჯილა. ასეთი ფაქტები არჩევნებზე არ ახდენს გავლენას?***

– რა თქმა უნდა, ახდენს. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნების დღე მშვიდობიანად არ მიმდინარეობს. თუ ასეთი ფაქტები დიდი რაოდენობით ხდება, ეს, ცხადია, რომ ძალიან ცუდია. ამაზე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა იზრუნოს, რომ საარჩევნო უბნის გარეთ იყოს სიმშვიდე. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ ჩვენ გვაქვს პოლარიზებული გარემო.

პირველ რიგში ამაზე უნდა იზრუნონ პოლიტიკურმა პარტიებმა. იგივე სოციალურ ქსელებს როცა ვუყურებთ, აქაც ძირითადად აგრესიული და ნეგატიური კამპანიებია საარჩევნო პერიოდში, რაც ცუდია და ასეთ რამეს ცუდად აფასებს.

***– ამის ინსპირაციის წყარო თავად ხელისუფლება არ არის?***

– თავისთავად ეს აგრესია მოდის ხელისუფლებისგან. ვხედავთ, როგორ აგრესიულები ხდებიან ისინი განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში და თავს ესხმიან ყველას, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს და ჩვენ ეს გვინახავს. იყენებენ წარმოუდგენელ ტერმინოლოგიას ამ ჯგუფებთან მიმართებაში. მათ შორის არასამთავრობო სექტორის, მედიის თუ პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებით. ეს არის პრობლემა და ჩვენ ვნახეთ, როგორ გააუქმა „ფეისბუქმა“ რამდენიმე ასეული გვერდი, რომელიც ზუსტად ამ აგრესიის და ნეგატიური კამპანიის გაღვივებას ემსახურებოდა. ეს უკვე ფაქტებია, რომ უმრავლესობა დაკავშირებულია „ქართულ ოცნებასთან“, თუმცა იყო გარკვეული რაოდენობა, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იყო კავშირში. მართალია ასეთი ანგარიშები იყო ცოტა, მაგრამ მაინც.

ჩვენ აქ ასევე ვსაუბრობთ პოლიტიკურ კულტურაზე და ალბათ ყველას გვინდა, რომ ნაკლებად აგრესიული კამპანია იყოს. პარტიებს ჰქონდეთ პოზიტიური კამპანია, ვიცოდეთ, რას აპირებენ ისინი – რა რეფორმებს გაატარებენ და რას გააკეთებენ რიგითი მოქალაქეებისთვის. სამწუხაროა, რომ კამპანიის დროს უმეტესი დრო ერთმანეთის დაპირისპირებასა და ლანძღვაზე იხარჯება, რითაც მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ამით ძალიან ვიღლები და მირჩევნია, რომ ამ ქვეყნის მომავალზე მივიღო ინფორმაცია.

***– მიღებული გვაქვს 8 მარტის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც არ უნდა იყოს პოლიტიკური მართლმსაჯულება და ამ ფონზე ხდება ირაკლი ოქრუაშვილის საქმის განხილვა, ეს რას ნიშნავს?***

– 8 მარტის შეთანხმების მთავარი მოტივი იყო ის, რომ ერთი მხრივ შეცვლილიყო საარჩევნო სისტემა, ბევრ პარტიას ჰქონოდა პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა და მოქალაქეებსაც უფრო დიდი არჩევანი ჰქონოდათ. მეორე იყო ის, რომ მედიისა და პარტიების წარმომადგენლებმა საარჩევნო პერიოდში გამუდმებით არ ირბინონ სასამართლოში. ამიტომ ითქვა, რომ ეს პროცესები უნდა ყოფილიყო გადადებული არჩევნების შემდეგ. მათ შორის, ვინც იყო საპატიმროში, მათთვის აღკვეთის სხვა ღონისძიება შეეფარდებინათ. მიზეზი ეს იყო, რომ პოლიტიკოსები აქტიურად ჩართულიყვნენ საარჩევნო კამპანიაში. მეც ვფიქრობ, რომ ეს მოვლენების ახალი განვითარებაა. მე ვფიქრობ, რომ ამაზე რეაგირება ალბათ ექნებათ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს.

უბრალოდ, მე არ ვიცი, ეს კონკრეტული საქმე განხილული იყო თუ არა 8 მარტის შეთანხმების დროს. ლოგიკურად საუბარი ყველა საქმის არჩევნებამდე შეჩერებაზე იყო და მის შემდეგ განახლება შესაძლებელი იყო. ამიტომ, ალბათ მოვლენების ის განვითარებაა, რომელიც საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკას გამოიწვევს. უბრალოდ, მე არ ვიცი, კონკრეტულად რა ითქვა 8 მარტის შეთანხმების დროს.

***– ვხედავთ, რომ პანდემიის ფონი ნელ-ნელა მძიმდება. ეს ხომ არ იქონიებს გავლენას დამკვირვებლების საქართველოში ჩამოსვლასა და გარკვეულწილად არჩევნების ლეგიტიმურობაზეც ხომ არ გააჩენს კითხვის ნიშნებს?***

– ლეგიტიმურობაზე საუბარი ჯერჯერობით ადრეა. თუმცა, ეს შექმნის იმ ფორმას, რა ფორმითაც ჩვენ ჩავატარებთ არჩევნებს. თუ ჩვენ გვექნება პანდემიის ფონი, ან თუ საქართველოში იქნება კოვიდ 19-ის შემთხვევები, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს. მათ შორის კამპანიის ჩატარებაზეც და შესაძლებელია, რომ კონკრეტულ ამომრჩეველს შეეშინდეს საარჩევნო უბანზე მისვლა, ასევე იქნება გართულებული წესით ჩატარებული არჩევნები იმ მხრივ, რომ ჩვენ ყველამ დავიცვათ ის მოთხოვნები, რაც საჭიროა იმისთვის, რომ არ გავავრცელოთ ვირუსი.

რაც შეეხება დამკვირვებლებს, ამ ეტაპისთვის, ჩემი ინფორმაციით, უარი არავის არ უთქვამს. ჩვენ უკვე დაგეგმილი გვაქვს ონლაინ შეხვედრები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც დააკვირდებიან არჩევნებს საქართველოში. ისინი უკვე იწყებენ ინფორმაციის შეგროვებას, თუმცა არ ვიცით, რა იქნება მსოფლიოში და რა იქნება საქართველოში. დღეს რამის პროგნოზირება ძალიან რთულია, თუმცა მგონია, რომ იმის გამო, რომ კოვიდის გავრცელების შეჩერება შევძელით, მე ვიტყოდი, რომ საუბარი ამ ეტაპზე იმაზე, რომ დამკვირვებლები არ ჩამოვლენ, სწორი არ იქნება. მგონია, რომ ისინი ჩამოვლენ. სხვა ქვეყნების მაგალითებს რომ შევხედოთ, სადაც ცოტა უფრო რთული ვითარებაა, იქ ჩავიდნენ, ამიტომ მე მგონია, რომ ოპტიმისტურად უნდა ვუყუროთ ამ ყველაფერს.

# „ოცნებამ“ საქართველო „ცეხად“ გადაქცია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– რატომ, რა ინტერესი იკვეთება ხელისუფლების? მით უმეტეს, წინ არჩევნებია?***

– მის ინტერესში შედის ის, რომ სწორედ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა მოკლეს გიორგი შაქარაშვილი.

***– ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებში ვის გულისხმობ, სპორტსმენებს?***

– კი, რა თქმა უნდა, ვისაც იყენებდნენ მთელი არჩევნების განმავლობაში. აი 23 წლის გოგოსთან კი ისეთი თემები იკვეთება, რომ რა გითხრათ. ჯერ დრონით ეძებდნენ, შემდეგ კამერებთანაც საეჭვოდ იკვეთება...

***– ავტომანქანის ადგილმდებარეობა ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს იწვევსო.***

– დიახ, მანქანის ადგილმდებარეობა, მერე კომპიუტერის ვერ გახსნა, მერე მამასთან შანტაჟის ენით საუბარი. მე მგონია, რომ ქართველმა სპეცსამსახურებმა ყველაფერი მშვენივრად იციან. არც ეს გოგო არა არის ვიღაც ჩვეულებრივი ტიპის მოკლული. ისე უნდათ გამოიყვანონ, რომ თითქოს ფულის გამო და რაღაც. ვხედავთ, ის 100 ათასობით ლარი, რაც ჰქონდა, ისევ ანგარიშზე უდევს. რეალურად სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე.

***– რასთან?***

– არ მინდა წინასწარ მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ რუსულ-ირანული სანქცირებული კომპანიები, რაზეც 2013 წლიდან წერს დასავლური პრესა, აი ეს ფული თეთრდებოდა საქართველოში. საქართველო იქცა ოაზისად ამ ფულის გათეთრების. ძალიან ბევრი შავბნელი საქმეები კეთდება. სუსმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს კომპანია რაღაც შავბნელ საქმეებს ემსახურებოდა. აი მთელი ხელისუფლება ასეთი შავბნელი საქმეებით არის დაკავებული.

ორი დღის წინ დააკავეს წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე კონტრაბანდაზე. ფაქტიურად, „ოცნება“ ჩალპა მთლიანად კორუფციაში. შევარდნაძის დროსაც კი არ იყო კორუფცია ასე მოდებული. ყველა იპარავს, რიგითი სპეციალისტით დაწყებული, მინისტრებით დამთავრებული! საკუთარ თარგზე მოიჭრეს მთელი ქვეყანა! რაღაც ერთი „ცეხი“ გახადეს მთელი საქართველო! ვინც არ მოსწონთ, კლავენ, იშორებენ. დღეს ჩვენი ქვეყანა 90-იანების რუსულ სტილზე იმართება!

# თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა პოვნის ადგილზე ევაკუატორითაა მიტანილი

## „ჩემმა შვილმა ალბათ ისეთ ინფორმაციაში შეაღწია, რაც არ უნდა სცოდნოდა“

24 ივლისს თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატ მიხეილ რამიშვილს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში საქმის მასალები გადაეცა.

პროგრამისტის გარდაცვალების საქმე მრავალტომიანია.

ადვოკატმა უკვე შეისწავლა ჩვენებების ნაწილი. მასალები სამედიცინო ექსპერტიზის პირველად დასკვნასაც მოიცავს, საქმეში დევს ფოტომასალაც, რომელიც სოფელ მაწევანთან, იმ ადგილასაა გადაღებული, სადაც ხუთდღიანი ძებნის შემდეგ ცხედარი აღმოაჩინეს.

მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ დაყენებულია შუამდგომლობა, რათა ამოღებული იქნას ანძებიდან, ბოლოს ვისთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია გარდაცვლილს.

– ჩემი კითხვები დაკავშირებულია პირველ რიგში 5-დღიან ძებნასთან, რომელიც მიმდინარეობდა და თუ გამოყენებულია დრონი, მე მაინტერესებს ამ დრონის ჩანაწერები, რა ადგილებია მოძიებული, რომელ ადგილებში მიმდინარეობდა ძებნა. ამას მე ვითხოვ და ამაზე მიმდინარეობს ახლა გარკვეული საკითხების შეჯერება.

მაქვს ისევ ის ეჭვი, რომ ასე მარტივად არ მოხდებოდა თვითმკვლელობა, ასე არ ხდება თვითმკვლელობა და, შესაბამისად, ერთ საათში და ორ საათში გაცნობილი ჩვენებების საფუძველზე, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო თვითმკვლელობა. ეს არ არის მარტო თვითმკვლელობა, ძალიან სერიოზულ რაღაცასთან ვდგავართ, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

ადვოკატის თქმით, მიმდინარეობს იმ პოლიციელის ძიება, ვინც გოგონას მამას ტელეფონით უთხრა, რომ მისი შვილი შარში იყო გახვეული.

– უახლოეს დღეებში ჩემთან ერთად შეხვდება მამა გამომძიებელს და შემდეგ დავადგენთ, ვინ იყო ეს პიროვნება თუ პიროვნებები, პოლიციელი იყო თუ არ იყო, აუცილებლად პასუხისგებაში მიეცემა მუქარისა და შანტაჟისთვის.

პირობას ვიძლევი, რომ ამ საქმეში არავინ და ვერავინ დაუსჯელი არ იქნება, – დასძინა მიხეილ რამიშვილმა.

* * *

საქმეში დევს ფოტომასალაც, რომელიც სოფელ მაწევანთან, იმ ადგილასაა გადაღებული, სადაც ხუთდღიანი ძებნის შემდეგ თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარს მიაკვლიეს.

აღნიშნულ ფოტომასალებზე აღბეჭდილ ერთ საეჭვო გარემოებაზე სანდო წყარო ამბები ჯი-სთან საუბრობს.

– არის ერთი გარემოება, რომელიც გვიმძაფრებს ეჭვს, რომ მანქანა მერეა მიტანილი იმ ადგილას, სადაც აღმოაჩინეს. თამუნას ავტომანქანა, დიდი ალბათობით, შედარებით დიდი მანქანითაა მიტანილი, სავარაუდოდ, ევაკუატორით, რაზეც მანქანის საბურავების კვალი მიანიშნებს. თანაც ეს კვალი მოდის და გაჩერებული „ჰიუნდაის“ უკანა მხარეს, მანქანამდე დაახლოებით 20-30სმ-ზე წყდება.

ანუ გოგონა თავისით თუ მივიდა და გააჩერა მანქანა, იმ 30 სანტიმეტრს გადაახტა? რატომ არ მიჰყვე-ბა საბურავის ნაკვალევი მანქანას ბოლომდე? აშკარაა, როცა ბაჩალიაშვილის ოჯახმა და ახლობლებმა აჟიოტაჟი ატეხეს, მერე მიიტანეს მისი გვამი მანქანიანად იმ ადგილას.

მწყემსები იმ მიდამოებში ყოველდღე დადიან, საქონელს აძოვებენ და რატომ ვერავინ შენიშნა გაჩერებული მანქანა? თან ის მანქანა თუ 4 დღე იქ იყო გაჩერებული, როგორც მოსახლეობა ამბობს, პოვნის წინა დღეს წვიმიანი ამინდი იყო და ბალახზე ტალახი არ უნდა გადაერეცხა?



არის ვერსია, რომ თამუნას თავის მოკვლა აიძულეს და რამდენიმე დღის განმავლობაში მანქანიანად სადღაც ავტოფარეხში ჰყავდათ გადამალული, – უთხრა სანდო წყარომ სააგენტოს.

დამოუკიდებელ ექსპერტ გალინა კარმუშინას თქმით, არსებობს ვარიანტი, რომ თამარ ბაჩალიაშვილს გაუკეთეს პრეპარატის ინექცია და შემდეგ მოაწყვეს თვითმკვლელობის ინსცენირება.

– თეორიულად მოგახსენებთ – არსებობს ვარიანტი, რომ მას გაუკეთეს ინექცია ამ პრეპარატის და შემდეგ მოაწყვეს თვითმკვლელობის ინსცენირება, ეს ჩემი აზრია, რადგან თვითმკვლელობის ინსცენირება საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პროცესია.

ინექციის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან გვამი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო, – განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა „პოლიტმეტრის“ ეთერში.

* * *

25 ივლისს თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე, თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლს, დაემატა 115-ე მუხლი, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ამასთანავე, თამარ ბაჩალიაშვილის მამა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნეს.

ამ საკითხზე ამბები ჯი ოჯახის ახლობელ თორნიკე ჭიჭაღუას ესაუბრა.

მისი თქმით, თუ არ შეიცვლებოდა კვალიფიკაცია ან არ დაემატებოდა ახალი მუხლი, ოჯახი და ახლობლები კვლავ აქციის გამართვას და გზის გადაკეტვას აპირებდნენ.

– გამოძიების გადაწყვეტილებას მივესალმებით და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი სამართლიანად წარიმართება. ოჯახმა უმძიმესი დღეები გადაიტანა და ახლაც კოშმარში არიან, ჯერჯერობით სამართალდამცავების მიმართ ნდობის აღდგენაზე ლაპარაკი რთულია, თუმცა გადაწყვეტილება, რომ მამა იქნება დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი, წინგადადგმული ნაბიჯია.

თუ არ შეცვლიდნენ კვალიფიკაციას ან არ დაამატებდნენ ახალ მუხლს, ისევ გადავკეტავდით გზას. ახლა ვნახოთ რას იზამენ, როგორ წარიმართება გამოძიება. ოჯახი კატეგორიულად გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას.

თამუნამ მანქანა დაახლოებით 20 დღის წინ იყიდა, შერჩევაში მეც ვეხმარებოდი. წარმოუდგენელია გოგონას, რომელიც სწავლასა და წარმატებულ მომავალზე იყო ორიენტირებული, თავი მოეკლა, – განაცხადა თორნიკე ჭიჭაღუამ.

* * *

თამარ ბაჩალიაშვილს საბანკო ანაბარზე 75.000 ლარი ჰქონდა. ინფორმაცია ამის შესახებ ექსკლუზიურად „ქრონიკამ“ მოიპოვა.

ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რასაც ექსპერტი კიბერუსაფრთხოების საკითხებში ხათუნა მშვიდობაძე ფეისბუქში გამოეხმაურა.

მისი თქმით, საშუალო დონის პროგრამისტის ანაზღაურება საათში არის დაახლოებით 150 დოლარი, ხოლო მაღალი დონის პროგრამისტის – ბევრად მეტი.

„გადავამრავლოთ 8 საათზე და დღეში გამოდის 1.200 დოლარი.

დამწყები პროგრამისტის ანაზღაურება დაახლოებით 50 დოლარია.

გადავამრავლოთ 8 საათზე, გამოდის 400 დოლარი დღეში.

გადავამრავლოთ 10 დღეზე, გამოდის 12.000 დოლარი საშუალო დონის პროგრამისტზე და დამწყები დონის პროგრამისტზე 4.000 დოლარი 10 დღეში.

რა არის იმაში გასაკვირი, რომ გარდაცვლილი გოგონას ანგარიშზე 75.000 ლარი (დაახლოებით 25.000 დოლარი) შესაძლოა ყოფილიყო.

ერთ-ერთი მედიასაშუალება ავრცელებს ამ ინფორმაციას, აზიარებს უამრავი და ჩირქს სცხებენ გარდაცვლილს.

ერთ პროექტში შეიძლება გადაგიხადონ ეს თანხა. სანამ სისულელეებს დაწერთ და დაიჯერებთ, იქნებ ვინმეს, ვინც თქვენზე მეტი იცის. ჰკითხოთ მაინც“ – დაწერა ხათუნა მშვიდობაძემ.

* * *

23 წლის პროგრამისტის დედა თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს.

თეონა თამაზაშვილი ვარაუდობს, რომ ბაჩალიაშვილს, შესაძლოა, ისეთ მასალებზე ჰქონოდა წვდომა, რომელიც მას არ უნდა სცოდნოდა.

– მე კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ ჩემმა შვილმა თავი მოიკლა. წინა კვირასაც გამოცდა ჩააბარა და ეძებდა მეორე სამსახურს და რატომ მოიკლავდა თავს?! არავინ არ მაყენებს საქმის კურსში. ძებნისასაც ვიხვეწებოდი, რომ გამაგებინეთ, მეც იქნებ რაღაცაში გამოგადგეთ და არაფერს აღარ გამოვრიცხავ უკვე.

შეიძლება უშუალოდ სამსახურში არა, მაგრამ ეს ბავშვი იმდენად ნიჭიერი იყო, იქნებ სხვა რამეში შეაღწია და ისეთი ინფორმაცია მოიპოვა, რომელიც არ უნდა სცოდნოდა.

უკვე აღარ ვენდობი გამოძიებას, თავიდანაც თამუნას კომპიუტერზე ვეხვეწებოდი, წაიღეთ და გახსენით-მეთქი, მაგრამ არ მიჰქონდათ. არავინ არ მოსულა, მიხეილ რამიშვილის გარდა, საერთოდ არც დაინტერესებულან, – უთხრა თამარ ბაჩალიაშვილის დედამ „ფორმულას“.

# „გიორგი შაქარაშვილი ტოიოტას მგზავრებმა ჩაახრჩვეს არაგვში“

## მირიან ნიკოლაძის განცხადება

გიორგი შაქარაშვილს დაედევნენ „ტოიოტა ქამრიდან“ გადმოსული პირები, მოაქციეს ალყაში, ფიზიკურად გაუსწორდნენ და ჩაახრჩვეს მდინარეში.

ამის შესახებ გარდაცვლილი ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის ბიძამ, ოჯახის ადვოკატმა, მირიან ნიკოლაძემ განაცხადა.

მან „ინტერპრესნიუსთან“ ისაუბრა ახვლედიანისა და ამირხანაშვილის ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ არანაირი გაურკვევლობა გიორგის ეპიზოდთან დაკავშირებით არ არსებობს.

მირიან ნიკოლაძის განცხადებით, როგორც კი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა დაიდება, ოჯახი კიდევ ერთხელ ძალიან მკაცრ პოზიციას დააფიქსირებს აღნიშნული პირების განზრახ მკვლელობის მუხლით დასჯასთან დაკავშირებით.

– ოჯახი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ძალიან სწორი პოზიცია ჰქონდა, როდესაც საზოგადოებას არ ლანძღავდა ზოგიერთებივით ამ მოწმეებს. პირიქით, ჩვენ გვქონდა იმედი, რომ რაღაც ეტაპზე ისინი მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ ხელი შეეწყოთ გამოძიებისთვის და დღეს ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, განხორციელდა. ახვლედიანისა და ამირხანაშვილის ჩვენებების ურთიერთთანხვედრით არანაირი გაურკვევლობა გიორგის ეპიზოდთან დაკავშირებით არ არსებობს.

აქ უკვე გამოიკვეთა სურათი, თუ რა მოხდა რეალურად, ჩვენ ეს ისედაც ვიცოდით, მაგრამ მტკიცებულებების დონეზე ეს აქამდე არ იყო განხორციელებული.

კერძოდ, ეს არის ის ფაქტი, რომ გიორგის და მასთან თანმხლებ პირებს დაედევნენ „ტოიოტა ქამრიდან“ გადმოსული პირები, აქედან 3 მათგანი გადმოჰყვათ ხიდზე და გადმოკვეთეს მაგისტრალი, ხოლო 2-მა მათგანმა ჩაუხვია იმავე მხრიდან მდინარე არაგვის ხიდების მიმართულებით ქვემოთ, სადაც ხიდის ბურჯებია განთავსებული და როდესაც გიორგიმ ჩაირბინა, მას წინ დახვდნენ იქითა მხრიდან ჩამოსული 2 პირი, მოაქციეს ალყაში და ბავშვი იძულებული იყო გაქცეულიყო უკვე არაგვისკენ მიმავალ ფერდობზე.

შესაბამისად, ეს მხეცები, არაადამიანები ჩაყვნენ, ფიზიკურად გაუსწორდნენ იქ ბავშვს და ჩაახრჩვეს მდინარეში. აი ეს არის რეალობა, რომელიც უკვე მტკიცებულებებით არის დადასტურებული და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება. როგორც კი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მოვა და კიდევ სხვა დასკვნები შემოვა, ჩვენ კიდევ ერთხელ ძალიან მკაცრ პოზიციას დავაფიქსირებთ ამ ხალხის განზრახ მკვლელობის მუხლით დასჯასთან დაკავშირებით, – განაცხადა მირიან ნიკოლაძემ.

# პოლიციამ ოზურგეთში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

## დაკავებულია 1 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული მ.ლ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 24 ივლისს, ოზურგეთში, ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ, ყაჩაღურად თავს დაესხა ქალს, ცივი იარაღის გამოყენებით ხელზე ჭრილობა მიაყენა, ხელჩანთა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ გატაცებული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

# გლდანის ციხეში პატიმარმა დიტო ჭიჭაშვილმა თავი მოიკლა

## რატომ დატოვეს პატიმარი აბანოში მარტო

გლდანის ციხეში, მე-8 დაწესებულებაში, ახალგაზრდა პატიმარმა თავი მოიკლა.

დიტო ჭიჭაშვილი 26 ივნისს ყაჩაღობის სავარაუდო ფაქტზე დააკავეს. სუიციდი პირველივე დღეებში, წინასწარი დაკავების იზოლატორში სცადა. მაშინ გადარჩა. სწორედ ამიტომ, პატიმარი გლდანის მე-8 დაწესებულებაში, სამარტოო საკანში გადაიყვანეს. წესით, დიტო ჭიჭაშვილი ადმინისტრაციას განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყოლოდა.

დიტო ჭიჭაშვილმა სუიციდამდე უფლებადამცველს უამბო, რომ ნარკოდამოკიდებული იყო და მისთვის მეტადონის ის დოზა, რასაც აძლევდნენ, საკმარისი არ იყო.

ადვოკატების ინფორმაციას კატეგორიულად გამორიცხავს პენიტენციური სამსახური. უწყებამ თვითმკვლელობა დაადასტურა და აღიარა, რომ სუიციდისადმი მიდრეკილი პატიმარი აბანოში მარტო დატოვეს.

ადვოკატმა დეტალური ინფორმაციისთვის გლდანის დაწესებულების მთავარ ექიმს ნანა მაღრაძეს მიმართა, თუმცა მან განუმარტა, რომ პატიმრის თანხმობა არ ჰქონდა, ამიტომ დოკუმენტაციას ვერ გააცნობდა. პატიმარი რომ უკვე გარდაცვლილია და თანხმობას ვერ გასცემდა, ეს გლდანის მერვე დაწესებულებაში არავის უფიქრია.

გლდანის მე-8 დაწესებულებაში მომხდარ სუიციდის ფაქტს უკვე იძიებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. მომხდარის შესახებ საქმის კურსშია იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიც. ადვოკატი მომხდარზე პასუხისმგებლობას ციხის ადმინისტრაციას აკისრებს, თუმცა ვის დასჯიან საგამოძიებო უწყებები ციხეში, რომელიც გამჭვირვალობით არ გამოირჩევა, არავინ იცის.

# წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია დააკავეს

## დაკავებულია აპარატის თანამშრომელიც



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტზე, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ამავე საკრებულოს აპარატის თანამშრომელი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 8.310 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის სავარაუდო ღირებულება 34.000 ლარს აღემატება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან რვა წლამდე ვადით.

# ნანტის საკათედრო ტაძარში ხანძრის გაჩენისთვის ბრალი მიგრანტს წაუყენეს

საფრანგეთის ქალაქ ნანტის წმინდა პეტრესა და პავლეს მე-15 საუკუნის საკათედრო ტაძარში ხანძრის გაჩენისთვის ბრალი რუანდელ მიგრანტს წაუყენეს, რომელმაც დანაშაული აღიარა.



39 წლის ლტოლვილს ბრალი ცეცხლის გაჩენის გამო წარედგინა. ნანტის პროკურორის თქმით, ბრალდებულს 10 წლამდე პატიმრობა და 150.000 ევროს ოდენობის ჯარიმა ემუქრება. მიგრანტმა, რომელიც ეპარქიაში მოხალისედ 5 წელი მუშაობდა, აღიარა, რომ საკათედრო ტაძარში ცეცხლი სამ ადგილას – მთავარ ორღანთან, მცირე ორღანთან და ელექტროჩამრთველებთან გააჩინა.

ბრალდებულის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ღრმად ნანობს ჩადენილ დანაშაულს და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

ნანტის წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში ცეცხლი 18 ივლისს გაჩნდა. ცეცხლმა ტაძრის ორღანი მთლიანად გაანადგურა. ასევე ჩაიმსხვრა შენობის წინა მხარეს მდებარე ვიტრაჟები.

ნანტის პროკურატურას თავიდანვე ჰქონდა ეჭვი, რომ ტაძარში ხანძარი განზრახ გააჩინეს, რადგან ცეცხლის სამი კერა იპოვეს. რუანდელი მიგრანტი სამართალდამცველებმა ერთი კვირის წინაც დააკავეს და დაკითხეს, თუმცა მან მაშინ დანაშაულში მონაწილეობა უარყო და სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს.

დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

# დიდმა ბრიტანეთმა ესპანეთიდან მოგზაურებს 2-კვირიანი კარანტინი დაუწესა



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, დომინიკ რააბის განცხადებით, ქვეყანამ სწრაფად იმოქმედა, როცა ესპანეთიდან ჩამსვლელ მგზავრებს კარანტინი დაუწესა მას შემდეგ, რაც ესპანეთში კორონავირუსის ახალი შემთხვევების უეცარი ზრდა დაფიქსირდა.

– ვიცით, რომ ეს დამსვენებლებისთვის შეფერხებას გამოიწვევს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვიხდით ბოდიშს ასე მოქცევის გამო. ჩვენ უნდა შეგვეძლოს სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედებები. ეს ნაბიჯი იყო რეალურ დროში რეაგირება. გადაწყვეტილება მივიღეთ ისე სწრაფად, როგორც შეგვეძლო, – განაცხადა დომინიკ რააბმა.

დიდმა ბრიტანეთმა უსაფრთხო ქვეყნების სიიდან ესპანეთის ამოღების შესახებ შაბათს განაცხადა. ამ ქვეყნიდან ჩამსვლელი მგზავრებისთვის 14-დღიანი კარანტინის დაწესების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება ადგილობრივი დროით უკვე შაბათს საღამოს 11:00 საათიდან შევიდა ძალაში. ამის გამო მგზავრებს მოგზაურობის გადადების ან დაგეგმვის დრო აღარ დარჩათ. მათ ბრიტანეთის ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკეს.

ცნობისთვის, შაბათს ესპანეთმა კორონავირუსით ინფიცირების 900-ზე მეტი ახალი შემთხვევის შესახებ განაცხადა.

# ტრამპმა წამლები გააიაფა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც წამლები გაიაფდა. ანალიტიკოსები თვლიან, რომ ეს ნაბიჯი პრეზიდენტისათვის ქულების ჩასაწერადაა გათვლილი. საპრეზიდენტო არჩევნებამდე 100 დღე რჩება, ტრამპის რეიტინგი კი 40 %-ია, ბაიდნისა – 55%.



ამერიკელ ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ პრეზიდენტის ეს მოქმედება მას სასურველ დივიდენდებს ვერ მოუტანს. ჯერ ერთი, წამლები აშშ-ში საკმაოდ ხელმისაწვდომია და მათ გაიაფებას ვერავინ იგრძნობს; მეორე, საეჭვოა, რომ პრეზიდენტის განკარგულებამ ფარმაცევტულ კომპანიებზე რაიმე გავლენა იქონიოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### სავარჯიშოდ გამოსულმა ქალმა თავი დათვის თათებში ამოყო



კანადის პროვინცია მანიტობეში ქალმა სავარჯიშოდ რაიდინგ მაუნტინის ეროვნულ პარკს მიაშურა და იქ დიდ შავ დათვ ბარიბალს გადაეყარა.

ინციდენტი ორშაბათს მოხდა. 27 წლის ერინ მაკენზი პარკში ძაღლთან ერთად დარბოდა, როდესაც უზარმაზარ შავ დათვს შეეჩეხა.

– ალბათ მე ის შევაშინე, თუმცა, რა თქმა უნდა, მე თავადაც საკმაოდ შევშინდი, – იხსენებს კანადელი, – ასეთი შემთხვევისთვის მზად არ ვიყავი, არ ველოდი თუ იქ მას გადავეყრებოდი.

მაკენზიმ მოულოდნელობისგან გონს მოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ დათვმა მას სახეში თათი ჩასცხო. მტაცებელმა მას ასევე მთელი ზურგი დაუკაწრა, შემდეგ უკანა თათებზე დადგა და გაეცალა.

– ეს ყველაფერი წამებში მოხდა, – ყვება ქალი, – საკუთარი დასისხლიანებული სხეული დავინახე და ძალიან შევშინდი, თავზე უზარმაზარი ჭრილობა მქონდა.

მისი ავტომობილი თავდასხმის ადგილიდან ხუთ კილომეტრში იყო გაჩერებული. სანამ ქალი 40 წუთი მიდიოდა თავისი მანქანისკენ, გზაში მას ტელეფონით ძმა და დედა ამშვიდებდნენ. დაშავებულს მისი მეგობარი მამაკაცი შეხვდა და მან გადაიყვანა მაკენზი საავადმყოფოში.

ექიმებმა ქალს ჭრილობები დაუმუშავეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პარკის ხელმძღვანელობამ ის მონაკვეთი, სადაც მოხდა დათვის ადამიანზე თავდასხმა, დროებით დახურა.

### მამაკაცმა საკუთარ თავზე ალიგატორის თავდასხმა ვიდეოზე გადაიღო



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში კაიაკერს თავს ალიგატორი დაესხა და მან მომხდარი ვიდეოზე გადაიღო.

რეპტილია კაიაკს თავს ტბა ბაკამაუს რაიონში დაესხა.

– მომეჩვენა, რომ მარცხნიდან თევზი ამოხტა წყლიდან, – ყვება პიტერ ჯოისი, რომელიც კაიაკს მართავდა, – სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს თევზი არ ყოფილა, ალიგატორის თავი შევნიშნე. ეს ჩემგან დაახლოებით ერთ მეტრში მოხდა და რეაგირების დრო აღარ დამრჩა.

ალიგატორი ნავს ისეთი ძალით დაეჯახა, რომ გადააბრუნა. მამაკაცს გაუმართლა, რომ იქვე გვერდით ხე აღმოჩნდა. მან მოასწრო, ხის ტოტებს ჩაბღაუჭებოდა, კაიაკი ისევ ამოატრიალა და სასწრაფოდ გაეცალა თავდასხმის ადგილს. საბედნიეროდ, რეპტილია მას არ გამოჰკიდებია.

### დათვის აუღელვებელ ტურისტთან შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა



მექსიკაში ცნობისმოყვარე დათვი საფეხმავლო ბილიკზე გამოვიდა, ტურისტ ქალს დაყნოსა, მასთან ფოტოსურათის გადაღების საშუალება მისცა და შემდეგ ტყეში დაბრუნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გადაიღო.

შაბათს, 18 ივლისს, სამმა ტურისტმა მექსიკის ერთ-ერთი ეროვნული ნაკრძალის საფეხმავლო ბილიკზე გასეირნება გადაწყვიტა. მოულოდნელად ტყის სიღრმიდან შავი დათვი გამოვიდა და ერთ-ერთ მათგანთან მივიდა. ის უკანა თათებზე აიმართა, ქალს მიეხუტა და თავზე დაყნოსა.

ქალის მეგობრებმა მისი შეშინება ცადეს, თუმცა ცხოველი ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ დათვის ინტერესის საგანმა, სრულიად აუღელვებელმა ტურისტმა ქალმა, ტელეფონი ამოიღო და ცხოველთან რამდენიმე სელფი გადაიღო. ამის შემდეგ დათვი ტყეში დაბრუნდა, ტურისტები კი შემთხვევის ადგილს სასწრაფოდ გაეცალნენ.

მომხდარი ვიდეოზე შორიახლოს მყოფმა ტურისტმა გადაიღო და შემდეგ ის სოციალურ ქსელებში განათავსა. მისმა ვიდეორგოლმა ორ დღეში ორ მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

### ქალმა მაღაზიიდან უზარმაზარი ტელევიზორის მოპარვა სცადა




ამერიკის ფლორიდის შტატის პოლკის ოლქში ქალი შეეცადა მაღაზიიდან უზარმაზარი ტელევიზორი მოეპარა. აღნიშნული შემთხვევა სათვალთვალო ვიდეო კამერამ დააფიქსირა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ აუღელვებლად მიაგორებს ურიკაზე დადებულ 65 დიუმის დიაგონალის ტელევიზორის ყუთს სუპერმარკეტის გასასვლელისკენ.

კართან მას დაცვის თანამშრომლებმა გადახდის ქვითარი მოსთხოვეს, რაზეც ქალმა მათ უარყოფითი პასუხი გასცა. ამ დროს მისმა თანამზრახველმა ურიკიდან სხვა მოპარული ნივთები აიღო და მიიმალა. გაქცევა თავად ვიდეორგოლის „გმირმაც" მოახერხა, თუმცა უტელევიზოროდ.

– მისი მხრიდან დიდი თავხედობა იყო ასეთი დიდი ტელევიზორის მოპარვის მცდელობა, – დაწერა სოციალურ ქსელებში ოლქის პოლიციის წარმომადგენელმა, რომელმაც მოსახლეობას მიმართა, რომ თუ იცნობენ ამ ქალბატონს, მას დაუკავშირდნენ.

### პოლიციელმა ბავშვი ზვიგენის თავდასხმისგან გადაარჩინა



პოლიციელმა ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ კოკო-ბიჩიდან ბოდიბორდზე მოცურავე ბიჭი ზვიგენის თავდასხმისგან გადაარჩინა.

პოლიციელი ადრიან კოსიცკი სამსახურიდან თავისუფალ დროს მეუღლესთან ერთად ნავმისადგომთან სეირნობდა, რა დროსაც შენიშნა ზვიგენი, რომელიც პატარა ბიჭს უახლოვდებოდა. ბავშვი ბოდიბორდით ნაპირთან ახლოს ცურავდა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ შევარდა წყალში კოსიცკი და ბიჭი ნაპირზე ამოიყვანა. ამ მომენტისთვის ზვიგენი ბავშვისგან დაახლოებით ერთ მეტრში იმყოფებოდა. ბავშვის გადარჩენის თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივმა პოლიციამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ზვიგენის სახეობა უცნობია.

### ესპანეთის ქალაქში მზესუმზირის ჭამა აკრძალეს



ესპანეთის პროვინცია კასერესის ქალაქ დელეიტოსში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მზესუმზირის ჭამა აკრძალეს.

ხელისუფლებამ ასეთი აკრძალვის შემოღება ახალი კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საფრთხით ახსნა. იკრძალება არა მხოლოდ მზესუმზირის, არამედ სხვა მსუბუქი სასუსნავის და ტკბილეულის ჭამაც. ქალაქის მერმა ხუან პედრო დომინგომ განაცხადა, რომ ბავშვები ერთმანეთს ხშირად უნაწილებენ ამ სასუსნავებს, რაც დასნებოვნების შანსს მნიშვნელოვნად ზრდის.

გარდა ამისა, ზოგიერთი ესპანელი დაჩვეულია, რომ მზესუმზირა პირდაპირ პირში ჩაიყაროს, კბილებით გაარჩიოს და შემდეგ ჩენჩოები ძირს გადმოაფურთხოს.

– ესპანეთში არცთუ იშვიათობაა გადმოფურთხებული ჩენჩოებით მოფენილი ტროტუარები, ამას ხშირად უბრალოდ დროის გასაყვანად აკეთებენ, – წერს ერთ-ერთი ესპანური გამოცემა.

### ქალმა მკითხავს არ დაუჯერა და გამდიდრდა




ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მცხოვრებმა ქალმა ყური არ უგდო მკითხავის რჩევას, რომელმაც მას მორიგი წარუმატებლობა უწინასწარმეტყველა და ლატარიაში 70 ათას ავსტრალიურ დოლარზე მეტი თანხა მოიგო.

– რამდენიმე წლის წინ მკითხავმა ტაროს კარტი გამიშალა და მითხრა, რომ ვერასოდეს ვერაფერს მოვიგებდი. მას შემდეგ ყველაფერს ვაკეთებდი იმის დასამტკიცებლად, რომ ის ცდებოდა, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

იღბლიანმა ავსტრალიელმა ლატარიის გათამაშებაში ორი პრიზი მოიგო და საბოლოო ჯამში 71,3 ათასი ავსტრალიური დოლარით გამდიდრდა.

– ეს იყო ყველაზე საუკეთესო ახალი ამბავი, რაც კი ოდესმე მსმენია, – აღნიშნა ქალმა.

ქალი მოგებული თანხით აპირებს ოჯახს დაეხმაროს და მეგობარ მამაკაცთან ერთად სამოგზაუროდ წავიდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# გიორგი ცხადაძე გოგონას მამა გახდა



მსახიობი და მომღერალი გიორგი ცხადაძე გოგონას მამა გახდა. მას და მის მეუღლეს სალომე ლემონჯავას პატარა ნენე ეყოლათ. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია და პატარას პირველი ფოტო გიორგიმ თავად გაავრცელა:

– ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩვენს ცხოვრებაში ასეთია – სწრაფი რეისით პლანეტა კა-2012-დან ნენე ცხადაძე ჩამოფრინდა. ძალიან ბედნიერი ვარ!

# ბესო ზანგური: „რაღაც დალპა ამ სამეფოში!"



ასე მიაჩნია რუსთაველის თეატრის მსახიობ ბესო ზანგურს და თავისი განცხადების მიზეზსაც განმარტავს:

– მგონი, რაღაც დალპა ამ სამეფოში. სამეფოში, ანუ სახელმწიფოში, სადაც პოლიციელი აუპატიურებს, გაურკვეველი და ბურუსით მოცული ახალგაზრდა გოგოს და ბიჭის მკვლელობა, დემოკრატიაში არეული სნობიზმი, წრეგადასული კეკლუცი პოლიტიკოსი მოდელების კამერებთან, „აბა ვინ უნდა მოვიდეს, ისევ მიშა" – წინადადება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

როგორც ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს გაზაფხულს, ისე ერთი კალაძე, ღარიბაშვილი, გახარია ვერ მოიყვანენ სრულყოფილებაში ქვეყანას თუ ეროვნული თვითშეგნების ხარისხი არ აიწია თითოეულ ჩვენთაგანში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სპორტი

# ბართომეუ: „ბარსელონას 7 ახალი ფეხბურთელი ჰყავს"

ბარსელონას პრეზიდენტმა, ხოსეპ მარია ბართომეუმ ესპანურ მედიასთან რამდენიმე საკვანძო თემა მიმოიხილა, მათ შორის, კორონავირუსის პანდემიისაგან მიყენებულ ზარალზეც ისაუბრა.

**ხოსეპ ბართომეუ:**

– ჩვენი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, ამ სეზონის ბოლოს მილიარდ დოლარზე მეტი უნდა შეგვეგროვებინა, თუმცა ხელში 30%-ით ნაკლები თანხა შეგვრჩა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგს ჰგონია, კოვიდ 19-მა „ბლაუგრანაზე" გავლენა არ იქონია. კორონავირუსმა ევროპის ყველა დიდ კლუბს დაარტყა, მათ შორის, ჩვენ



ყველაზე მეტად. შესაბამისად, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა ბარსასათვის კომპლექსური იქნება. მოთამაშეებს ვერ ვთხოვთ, რომ მათი ხელფასები კლუბის შემოსავლების შესაბამისი იყოს. ვფიქრობ, საფეხბურთო სამყაროს ამ კრიზისიდან ამოსასვლელად 2-3 წელი მაინც დასჭირდება.

ბართომეუ რამდენიმე საინტერესო საკითხზე საუბრობს, მათ შორის, ანსუ ფატის, რიკი პუჩისა და რონალდ არაუხოს დაწინაურებაზე.

– დიახ, ჩვენ უკვე 7 ახალი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც მალე შემოგვიერთდებიან. სასიამოვნოა, როცა პირველ გუნდში ბარსა ბ-ს მოთამაშეები ასპარეზობენ. რონალდ არაუხო, რიკი პუჩი და ანსუ ფატი „ბლაუგრანას" პირველ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს", რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# დინამო მოფერიანდა, ჩიხურამ პირველად იმარჯვა

**ჩიხურა-მერანი (თბ) 3:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 კახაბრიშვილი (55), 2:0 კიკაბიძე (74), 3:0 მუჯირი (87)

**ჩიხურა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, კაშია, ჯაფიაშვილი, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, გვაზავა, კახაბრიშვილი, წიქარიძე (ღავთაძე 56), დეკანოიძე (კიკაბიძე 56), ბუხაიძე (მუჯირი 73)

**მერანი:** თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ფოფხაძე, ქარქუზაშვილი, თევზაძე, გაბისკირია (ფიფია 69), შარიქაძე, დათუნაიშვილი, სარდალიშვილი, ნაჭყებია, ჩიქოვანი (მახარობლიძე 46)

ეროვნული ლიგის მე-7 ტური აუტსაიდერების მატჩით გაიხსნა. საჩხერის ჩიხურამ მერანს თბილისში უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დაამარცხა.

შეხვედრის პირველი ტაიმი არცთუ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. რეალური საგოლე მომენტის შექმნა ვერც ერთმა გუნდმა შეძლო.

მე-2 ნახევარი უკვე საჩხერელთა უპირატესობით წარიმართა, რაც საბოლოო ჯამში 3 გატანილ გოლში გამოისახა.

ანგარიში მასპინძლებმა 55-ე წუთზე კახა კახაბრიშვილის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. ორამდე უპირატესობა 74-ე წუთზე ლუკა კაკაბაძემ გაზარდა. მესამე გოლი 87-ე წუთზე კახაბრიშვილის პასით დავით მუჯირმა შეაგდო და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

ამ გამარჯვებით ჩიხურა ხასიათზე მოვიდა, მერანი კი ცხრილის ფსკერზე დატოვა.

**სამტრედია-დინამო (თბ) 0:4**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 ქავთარაძე (17), 0:2 პერნამბუკო (20), 0:3 კაპანაძე (22), 0:4 ქავთარაძე (61)

**სამტრედია:** სეფიაშვილი, რუხაია, კილასონია, ახალაძე, ინკუმი, სამბუ, კვირკვია (იმნაძე 68), ყურბანოვი, დისი (ქოჩლაძე 59), პავიშიჩი, კერძევაძე (მესიაჩენკო 59)

**დინამო:** კვასხვაძე, კობოური, ლოჩოშვილი, ბენიო, იაშვილი, მექვაბიშვილი, პაპავა, ბულრიძე (კუცია 58), ნ.ქავთარაძე, პერნამბუკო (კუხიანიძე 73), თ.კაპანაძე (გაბედავა 64)

სამტრედია საკუთარ არენაზე თბილისის დინამოს დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით დამარცხდა. დედაქალაქურმა კლუბმა მასპინძელთა კარში 4 გოლის გატანა შეძლო ისე, რომ საკუთარი კარი მშრალად შეინახა. ეს დინამომ ამ სეზონში მეორედ მოახერხა.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დინამოელებმა 2-მატჩიანი ჩავარდნის შემდეგ, თამაშის ხარისხი გამოასწორეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. კიდევ ერთი წაფორხილება საჩემპიონო ამბიციაში მნიშვნელოვნად დააზარალებდა გუნდს.

შეხვედრაში დუბლი შეასრულა ნოდარ ქავთარაძემ, ხოლო თითო გოლი კი თორნიკე კაპანაძემ და პერნამბუკომ გაიტანეს.

**ლოკომოტივი-თელავი 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 გაბაძე (61), 1:1 რუხაძე (81პ)

**ლოკომოტივი:** მამარდაშვილი, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, ჯინჯოლავა (გავაშელიშვილი 60), უბილავა, დარცმელია, შონია, სამურკასოვი, თ.კირკიტაძე, სიხარულიძე (მჭედლიშვილი 78), არველაძე (ც.კაპანაძე 70)

**თელავი:** სანიკიძე, თოლორდავა, ბერიაშვილი, ჩუკვურა, ძოწენიძე, ჩაბრაძე, ნ.ბაშელეიშვილი (სამუშია 75), ვარშანიძე, მოსიაშვილი (მოისწრაფიშვილი 69), კოხრეიძე, კვასოვი (რუხაძე 46)

გუნდებმა ორივე ტაიმი ძალიან მაღალ ტემპში ითამაშეს. იყო ბევრი სახიფათო მომენტი როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კარში, მაგრამ შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა.

მატჩის 61-ე წუთზე მასპინძლებმა გიორგი გაბაძის მიერ გატანილი გოლით ანგარიშიც გახსნეს.

გიორგი ჭიაბრიშვილი ახლოს იყო პირველი თამაშის მოგებასთან, მაგრამ 81-ე წუთზე ლოკომოტივის კარში დანიშნულმა პენალტმა მოცემულობა შეცვალა – ირაკლი რუხაძემ 11 მეტრიდან მამარდაშვილის კარი აიღო და ანგარიში გაათანაბრა.



**ტორპედო-საბურთალო 4:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 მარგველაშვილი (12პ), 0:2 გულიაშვილი (14), 0:3, 0:4 ქავთარაძე (42პ, 64)

**ტორპედო:** ბულისკერია, ვ.ტაბატაძე, კასრაძე, ადამაძე, მარკოვიჩი (აბულაძე 46), ბობკო, ჯანელიძე, ივანიშვილი, ციცქიშვილი (შარვაშიძე 67), პონომარი (მირცხულავა 13), ფანცულაია

**საბურთალო:** კუპატაძე, ლაკვეხელიანი (ნაზარე 75), მარგველაშვილი, ჭიჭინაძე, კაკუბავა, ცნობილაძე, ტერა, ალთუნაშვილი, ი.ტაბატაძე (მალი 58), ბ.ქავთარაძე, გულიაშვილი (ლუმუ 69)

**გაძევება:** ადამაძე (11)

ტორპედომ საკუთარ არენაზე საბურთალოს უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა. სტუმრებმა მასპინძლებს 4 უპასუხო გოლი გაუტანეს და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს.

მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყდა. თემურ შალამბერიძის გუნდმა მე-11 წუთზე რიცხობრივი უპირატესობა მიიღო, როცა მოედნიდან გურამ ადამაძე გააძევეს, ხოლო ტორპედოს კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად საბურთალოს კაპიტანმა გაგი მარგველაშვილმა შეასრულა.

2 წუთი დასჭირდა დედაქალაქურ კლუბს იმისთვის რომ უპირატესობა ორამდე გაეზარდა. ამჯერად ქუთაისელთა კარი გიორგი გულიაშვილმა აიღო. პირველ ტაიმში საბურთალომ კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხა მეტოქის კარში. ისევ თერთმეტმეტრიანი, რომელიც უკვე ბექა ქავთარაძემ შეასრულა და საბურთალომ 3-ბურთიანი უპირატესობით შეისვენა.

მე-2 ტაიმში კიდევ ერთი გოლი გავიდა, რომლის ავტორიც ისევ ბექა ქავთარაძე იყო. 21 წლის ფორვარდმა საკუთარ აქტივში დუბლი მიითვალა და შეხვედრაში საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 6 | 4 | 2 | 0 | 12-3 | 14 |
| 2.დინამო (თბ) | 7 | 3 | 3 | 1 | 13-3 | 12 |
| 3.საბურთალო | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 4.დინამო (ბთ) | 6 | 2 | 4 | 0 | 9-4 | 10 |
| 5.თელავი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| 6.ლოკომოტივი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-12 | 9 |
| 7.სამტრედია | 7 | 2 | 2 | 3 | 6-12 | 8 |
| 8.ჩიხურა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 9.ტორპედო | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 10.მერანი (თბ) | 7 | 0 | 3 | 4 | 2-12 | 3 |

## ბართომეუ: „ბარსელონას 7 ახალი ფეხბურთელი ჰყავს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

გუნდში ნამდვილად დაწინაურდებიან. არის კიდევ პედრი, რომელიც ახალგაზრდაა და წარმოუდგენელი ტალანტი გააჩნია; როდესაც ფრანსიშკუ ტრინკაუ შევიძინეთ, ის ყველასთვის უცნობი მოთამაშე იყო, თუმცა მალევე ევროპაში საუკეთესო 21-წლამდე ფეხბურთელად იქცა; ასევე, მატეუს ფერნანდესი გვყავს, რომელმაც ცოტა ითამაშა, რადგან ესპანეთში გადმობარგებისას ბრაზილიელს გარკვეული პრობლემები შეექმნა, რომლებიც მოვაგვარეთ და, შესაბამისად, მან ვალიადოლიდში რამდენიმე მატჩი ჩაატარა. მირალემ პიანიჩი კიდევ ერთი დანამატია, რომელიც პირველივე დღიდან სასტარტო შემადგენლობის წევრი იქნება.

ბართომეუმ გერმანელი მეკარის, მარკ-ანდრე ტერ შტეგენის კონტრაქტზეც ისაუბრა.

– ჩვენთვის უპირველესი ამოცანა მარკ-ანდრე ტერ შტეგენის კონტრაქტის გახანგრძლივებაა – ის ჩვენი გასახდელის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. მარკს კარგად ესმის, რომ შემოსავლების შემცირების მიუხედავად, კლუბმა მისი ხელფასი უნდა აანაზღაუროს. მე არ ვამბობ, რომ ფეხბურთელები ნაკლებს მიიღებენ, მაგრამ მათი ანაზღაურება კლუბის შემოსავლის დონის მიხედვით უნდა იყოს გათვალისწინებული.

## რეალს ბრიტანეთში არ უშვებენ

უეფამ ჩემპიონთა ლიგის დასკვნითი ნაწილი კი დაალაგა, მაგრამ ერთი პატარა დეტალი გამორჩა და ახლა, შესაძლოა, ტვინის ჭყლეტა მოუწიოს.

საქმე ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს მანჩესტერ სიტი და მადრიდის რეალი უნდა შეხვდნენ, ჩაშლის პირასაა.

მას შემდეგ, რაც ესპანეთში კორონავირუსით დაავადებულთა რაოდენობამ მოულოდნელად მაღალი ტემპებით იმატა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ესპანეთიდან შემოსული ადამიანები 2-კვირიან კარანტინში ამყოფოს.

აქედან გამომდინარე, თუ რეალს „ეტიჰედზე“ თამაში უნდა, ახლა მანჩესტერში უნდა იყოს და რომელიმე სასტუმროში ყოველგვარი ვარჯიშების გარეშე ჩაიკეტოს.

თუმცა, ესპანური მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ უეფას ხელმძღვანელობა ბრიტანეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებს გამართავს, რათა ზემოაღნიშნული საკითხი დაარეგულიროს.

თუკი ვითარება არ შეიცვალა, უეფას თამაშის კიდევ ერთხელ გადადება მოუწევს ან შესაძლებელია მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში, მაგალითად, პორტუგალიურ პორტუში ან გიმარაეშში გაიმართოს.

შეგახსენებთ, რეალისა და მანჩესტერ სიტის პირველი შეხვედრა ინგლისელების გამარჯვებით დასრულდა – 2:1. მანჩესტერელთაგან თავი გაბრიელ ჟესუსმა და კევინ დე ბრუინემ გამოიჩინეს, რეალის მხრიდან კი, გოლი ისკომ გაიტანა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**25 ივლისი**

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ა**

ბრეშა-პარმა ... 1:2
ჯენოა-ინტერი ... 0:3
ნაპოლი-სასუოლო ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 25 | 5 | 5 | 73-38 | 80 |
| 2.ინტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 77-36 | 76 |
| 3.ატალანტა | 36 | 22 | 9 | 5 | 96-45 | 75 |
| 4.ლაციო | 35 | 22 | 6 | 7 | 71-38 | 72 |
| 5.რომა | 35 | 18 | 7 | 10 | 69-47 | 61 |
| 6.მილანი | 36 | 17 | 9 | 10 | 56-45 | 60 |
| 7.ნაპოლი | 36 | 17 | 8 | 11 | 58-47 | 59 |
| 8.სასუოლო | 36 | 13 | 9 | 14 | 64-62 | 48 |
| 9.ვერონა | 35 | 11 | 13 | 11 | 43-43 | 46 |
| 10.პარმა | 36 | 13 | 7 | 16 | 51-52 | 46 |
| 11.ფიორენტინა | 35 | 10 | 13 | 12 | 43-45 | 43 |
| 12.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 48-58 | 43 |
| 13.კალიარი | 35 | 10 | 12 | 13 | 50-52 | 42 |
| 14.სამპდორია | 35 | 12 | 5 | 18 | 46-58 | 41 |
| 15.უდინეზე | 35 | 10 | 9 | 16 | 34-49 | 39 |
| 16.ტორინო | 35 | 11 | 5 | 19 | 42-63 | 38 |
| 17.ჯენოა | 36 | 9 | 9 | 18 | 44-68 | 36 |
| 18.ლეჩე | 35 | 8 | 8 | 19 | 45-77 | 32 |
| 19.ბრეშა | 36 | 6 | 6 | 24 | 34-76 | 24 |
| 20.სპალი | 35 | 5 | 4 | 26 | 25-70 | 19 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-რიუ ავე ... 0:2
მარიტიმუ-ფამილიკაო ... 3:3
ბენფიკა-სპორტინგი ... 2:1
ბრაგა-პორტუ ... 2:1

**რუსეთი. თასი**

**ფინალი**

ზენიტი-ხიმკი ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-თუნი ... 1:1
ციურიხი-სტ.გალენი ... 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-სივასი ... 3:1
გენჩლერი-ბეშიქთაში ... 0:3
დენიზლი-ანკარაგიუჯიუ ... 0:1
მალათია-გაზიანთები ... 0:1
ქაისერი-ტრაბზონი ... 1:2
ქონია-ალანია ... 2:3
ფენერბახჩე-რიზე ... 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კოლოსი-დნიპრო ... 4:1
ოლექსანდრია-მარიუპოლი ... 1:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდ გრელანდი-ალესუნდი ... 3:2
ბრანი-კრისტიანსუნდი ... 1:1

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ერთი და იგივე აზრის განსაზღვრება, გადმოცემა-მტკიცება, გამეორება სხვა სიტყვებით; 2. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 3. ბურატინოს იტალიური პროტოტიპი; 4. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი; 5. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 6. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 9. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 13. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 17. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ორკესტრის მთელი შემადგენლობით; 18. ტროპიკებში გავრცელებული დიდი მახრჩობელა გველი.

**თარაზულად:** 1. განსაკუთრებული ნიჭი; 3. გეომეტრიული ფიგურა; 8. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 10. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. გერმანული ავტომობილი; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 14. სასტუმროს თანამშრომელი; 15. ყნოსვის უნარის მოშლილობა, დაქვეითება; 16. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 19. თაღლითი ბანქოს თამაშში; 20. ღამის პეპელა; 21. საზღვაო მოგზაურობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიკონავტი; 2. რამოსი; 3. კოფეინი; 5. ჩარჩი; 5. ვალმარტი; 6. ჟესტი; 7. ნირვანა; 9. ადაჟიო; 13. ბეილი; 17. მუზა; 18. ერი.

**თარაზულად:** 1. ტაპიორი; 3. კაკაჩი; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. ტოკაი; 12. კიშლაკი; 14. ნარიტა; 15. გეიმერი; 16. ტემზა; 19. მულატი; 20. პინჩერი; 21. ბოტასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბურგასი; 2. ალეგრი; 3. გარიბალდი; 4. ღვინიო; 5. შატბერდი; 7. არნო; 11. ბოჭორმა; 13. რაფსოდი; 15. უწერა; 16. ნაურუ; 18. მლილი; 19. იარდი.

**თარაზულად:** 6. უშქარი; 8. სლოგანი; 9. ეტიკეტი; 10. აპლომბი; 12. გინზა; 14. მოხერი; 17. დიფამაცია; 20. გირკანი; 21. გრივნა; 22. ლონდრე; 23. წუწურაქი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაში ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სამგლოვიარო განცხადებები

### რეზიკო ხარჩილავას ხსოვნას!

ოთხი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე ყველასათვის საყვარელო, კეთილშობილო, გულისხმიერო, ჰუმანურო რეზიკო!

სამუდამოდ დაამწუხრე შენი ლამაზი ოჯახი: საუკეთესო ვაჟიშვილები და მეუღლე, შენი და, მშობლები და ახლობლები!

ჩვენო მუდამ მომღიმარო რეზიკო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

*ნათესავები – კუსუნა და გოჩა მზარელუები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0731

ევრო — 3.5605

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9133

100 რუსული რუბლი — 4.2835

## ამინდის პროგნოზი 27 ივლისისთვის




## ვეფხვების ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



ინდოეთის რაჯასტხანის შტატში მდებარე რანტამბორის ეროვნულ პარკში ტურისტების თვალწინ ორმა ბენგალურმა ვეფხვმა ორთაბრძოლა გამართა.

ინციდენტი ვიდეოზე ექსკურსიამძღოლმა ხანსრაჯ გუჯარმა გადაიღო. ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ მიეპარა ვეფხვი თანამოძმეს და შემდეგ თავს დაესხა. მტაცებელ ცხოველებს შორის დაძაბული ორთაბრძოლა გაიმართა, რომლის საბოლოო შედეგი უცნობი დარჩა. ორივე მოწინააღმდეგე სისწრაფითა და სისხარტით გამოირჩეოდა და შეტევაზე გადადიოდა. ვიდეორგოლის ბოლოს ერთ-ერთმა მეორეს მთელი ხმით დაუღრინა.

ვიდეო იმ მომენტზე შეწყდა, როდესაც მტაცებლები ხეებს შორის გაუჩინარდნენ. აღნიშნულ შემთხვევას ასევე შეესწრო ფოტოგრაფი ხარშა ნარასიმხამურტი, რომელმაც თავისი ემოციები ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას გაუზიარა.

– სიტყვები არ მყოფნიდა, შიშისგან ვკანკალებდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ველური ბუნების ეს სცენა ჩემ თვალწინ თამაშდებოდა, – განაცხადა გუჯარმა, – ჩემ მიერ გადაღებულ ვიდეოს ბევრი აქებს, თუმცა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ყოველივე ცოცხლად, საკუთარი თვალით ვნახე.

## მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი ორი წლის ბავშვი ცოცხალი გადარჩა



ჩინეთის პროვინცია ცზიანსუს სიუიის მაზრის მცხოვრებმა მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი ორი წლის ბავშვი შიშველი ხელებით დაიჭირა.

ბავშვი შემთხვევით მეხუთე სართულზე მდებარე ბინაში ჩაიკეტა. ბებია კარის გაღებას ვერ ახერხებდა და დასახმარებლად ხელოსნის მოსაყვანად წავიდა. ამ დროს ბავშვი აივნიდან სახლის კედლის გარეთა მხარეს კონდიციონერის დასაყენებელ ბაქანზე გადაძვრა. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, როგორ ცდილობს ბავშვი ათი წამის განმავლობაში, ჩაეჭიდოს შვერილს, შემდეგ კი ქვევით ვარდება. ის ჰაერში ორჯერ გადატრიალდა და პლასტიკატის გამოშვერილ სახურავს დაეჯახა.

მეზობელმა, სახელად ლი დეჰაიმ, შენიშნა, რომ ბიჭი ვარდებოდა და ის სკამზე შემდგარმა შიშველი ხელებით დაიჭირა. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა გასინჯვის შემდეგ დაადგინეს, რომ ის ჯანმრთელი და სრულიად უვნებელი იყო. დეჰაიმ ამ ინციდენტის შედეგად ხელების მცირე ტრავმა მიიღო და მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

## უპატრონო კატა შეყვარებულებს გამდიდრებაში დაეხმარა



ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ფლორენსში წყვილი უპატრონო კატის წყალობით გამდიდრდა.

ანონიმად დარჩენის მსურველმა შეყვარებულებმა განაცხადეს, რომ ბოლო სამი წელია, ისინი უპატრონო კატას საკვებით უმასპინძლდებიან. ყოველ ჯერზე, როდესაც ისინი სუპერმარკეტში კატის საკვების შესაძენად შედიან, მომენტალური ლატარიის ორ ბილეთსაც ყიდულობენ.

სუპერმარკეტში მორიგი ვიზიტის დროს შეყვარებულმა წყვილმა ათი დოლარის ღირებულების მომენტალური ლატარიის ბილეთები შეიძინა და 50 ათასი დოლარი მოიგო. ქალის თქმით, ისინი უპატრონო ცხოველზე ზრუნავენ და ეს სიკეთე მათ უკან დაუბრუნდათ. წყვილს არ დაუზუსტებია, თუ რაში აპირებენ მოგებული თანხის დახარჯვას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

27 ივლისისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **მორიელი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ბიოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელი კლასს კითხვას უსვამს:

– აბა, ვინ მიპასუხებს, რატომ არის, რომ ბავშვობაში გოგონები ბიჭებზე მაღლები არიან? აბა, გიგი, მიპასუხე!

– იმიტომ, რომ ბიჭებს კვერცხები ქვევით ექაჩება.

– მაშინ, რატომაა, რომ ზრდასრული მამაკაცები ქალებზე უფრო მაღლები არიან?

– იმიტომ, რომ ქალებს ძუძუები ეზრდებათ, ისინი კი კვერცხებზე უფრო მძიმეა.

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– ბრალდებულო, მაინც რამ გიბიძგათ საიუველირო მაღაზიის გაძარცვისკენ?

– რამ და, მაღაზიის ვიტრინაზე ეწერა: „ბატონებო, თქვენ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ!“

●●●

ქორწილია. თამადა აცხადებს:

– ახლა კი ტრადიციის თანახმად, სიძე პატარძლის ფეხსაცმლიდან დალევს.

სიძე თამადას ყურში ჩასჩურჩულებს:

– რას აკეთებ, ხედავ, რა ზომა ფეხი აქვს? ეგ რომ დავლიო, ხომ გასასვენებელი გავხდები!!!

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– გიგი, ორი ტომარა რომ იპოვო, ერთი ფულით, მეორე კი ჭკუით სავსე, რომელს აიღებდი?

– რა თქმა უნდა, ფულით სავსე ტომარას!

– აი მე კი ჭკუით სავსე ტომარას ვამჯობინებდი!

– ვისაც რა აკლია, იმას ირჩევს, მასწავლებელო!...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– შენ ყოველთვის მხოლოდ ის გესმის რაც თავად გსურს!

– ღვინო და მწვადი? რა თქმა უნდა, მინდა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნატალია ქუთათელაძეს პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილი რეაბილიტაცია არ მოსწონს



ოპერის მომღერალ ნატალია ქუთათელაძეს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილი რეაბილიტაცია არ მოსწონს:

– უკვე სიტყვებიც არ მყოფნის იმის გამოსახატად, რასაც ჩვენ ქალაქს ეს ბანძი, უგემოვნებო და უთავმოყვარეო ადამიანები უკეთებენ წლების მანძილზე!

არქიტექტორებო, თქვენ არ გაწუხებთ ეს პრობლემა? სადღაც რო ზიხართ ჩუმად და ხმას ვერ იღებთ და უყურებთ ამ მარაზმს, არ გრცხვენიათ?

ან საერთოდ რატო არასდროს არაფერზე არ გვაქვს ადეკვატური რეაქცია მოქალაქეებს? მოგწონთ ის ხედი, რასაც თქვენი აივნებიდან უყურებთ? ალბათ მოგწონთ.

## ნინი ბადურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო



მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა ახალი ვიდეორგოლი გადაიღო.

„გაზაფხული“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომლის კლიპის პრემიერაც გადაცემა „პრაიმ შოუში“ გაიმართა. სიმღერა „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა და მისი ავტორი ერეკლე დიდიაა:

– ჩემს ახალ ნამუშევარს ვიცი ბევრი ელოდა. ეს სიმღერა თავის დროზე შეიყვარა მსმენელმა. იმედია ახალი ვერსიაც მოეწონება და თავიდან შეიყვარებს. რაც შეეხება კლიპს, ვფიქრობ, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია.

მადლობა მინდა ვუთხრა პირველ რიგში სიმღერის ავტორს ერეკლე დიდიას, ასევე ტექსტის ავტორს ირინა სანიკიძეს, ბორიკო შხიანს საუკეთესო არანჟირებისთვის, კლიპის დამდგმელ რეჟისორს ირაკლი ფიფიას, ირაკლი შენ ხარ უმაგრესი და სუპერ ნიჭიერი ადამიანი!

მადლობა კლიპის მთავარ გმირებს და უბრალოდ ულამაზეს ანი ლოლაძეს და უსიმპათიურეს ნიკა ნოზაძეს, რომ ასე მაგრად შეასრულეს თავისი როლები და გაალამაზეს ჩემი ვიდეო.

## ნოდარიკო ხუციშვილი ჟურნალისტებს პროფესიონალიზმს უწუნებს



მომღერალი ნოდარიკო ხუციშვილი ჟურნალისტებს პროფესიონალიზმს უწუნებს და უსურვებს, არანაირ საქმეს არ გადაეფაროს მათში ადამიანი:

– როდესაც გარდაცვლილი შვილის მამა იგებს ამბავს, რომლის იქით ალბათ ტკივილი არ არსებობს, ამ დროს შენ შეგიძლია ამ კაცის გვერდზე, ერთ მეტრში დადგე და ხმამაღლა, თითქმის იყვირო „თქვენ ახლა პირდაპირ ეთერში ხედავთ, როგორ მოვიდნენ გარდაცვლილის მშობლები შემთხვევის ადგილზე“ და ეს ითვლებოდეს „პროფესიონალიზმად“, ცუდია ასეთ სამყაროში ცხოვრება.

ჩემი აზრით, უბრალოდ ადამიანურად არ უნდა შეგეძლოს, აი ვერ უნდა აკეთებდე ამას. გამართლება ამის იმით, რომ ხალხს აინტერესებს, ძალიან დასანანია, რომ ამას აჯერებენ ახალგაზრდებს, რომ ეს არის მათი საქმე. და ზღვარი ამ ვითომ „პროფესიონალიზმსა“ და ადამიანობას შორის საშინლად აცდენილია.

ძალიან დიდი წილი აქვს ამ ყველაფერს ხალხის ფსიქიკურ აშლილობაში. მთავარია პირველი იყო, თქვა და მერე ვისზე როგორ იმოქმედებს, რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია ხმაურიანი სათაური. გულწრფელად ვიზიარებ ვინც მსხვერპლია და სჯერა, რომ კარგ საქმეს აკეთებს ამით. გისურვებთ, რომ არაფერს, არანაირ საქმეს არ გადაეფაროს თქვენში ადამიანი.

## „მზესუმზირა“ ღონისძიების ჩატარებისთვის 10.000 ლარით დააჯარიმეს




კომუნა „მზესუმზირა“, ყველა რეგულაციის დაცვის მიუხედავად, ღონისძიების ჩატარებისთვის 10.000 ლარით დააჯარიმეს:

– ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც სამწუხარო ინფორმაცია უნდა გაცნობოთ. მიუხედავად ყველა იმ წესის ზედმიწევნით დაცვისა, რომელიც 29 ივნისს, ჯანდაცვის სამინისტროში, მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე გაგვაცნეს, რომლის მიზანი, მათივე თქმით, არსებული რეგულაციების შემსუბუქება იყო, 17 ივლისს გამართულ ღონისძიებაზე, კომუნა „მზესუმზირა“ მაინც დააჯარიმეს 10 000 ლარით.

მიზეზი არის შემდეგი, რომ ახალი დადგენილებით, ელექტრონული მუსიკა საერთოდ არ არის შეყვანილი კულტურულ ღონისძიებათა სიაში და ყველა ის რეგულაცია, რომლის დაცვაშიც დამატებითი ფინანსური ხარჯი გავიღეთ, აღმოჩნდა ფუჭი, ისევე, როგორც მათი დაპირება, რომ მითითებების ზედმიწევნით დაცვის შემთხვევაში, არ დავჯარიმდებოდით.

ქვეყანაში პარალელურად მიმდინარე აქტივობებიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან და ვაპირებთ სასამართლოს გზით დავამტკიცოთ ჩვენი სიმართლე.

მსგავსი შერჩევითი მიდგომა საფრთხეს უქმნის ინდუსტრიის არსებობას, რაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე დაუშვებელია! უახლოეს დღეებში ქართული კლუბები და მუსიკალური ფესტივალები გავავრცელებთ საერთო განცხადებას.

გვიყვარხართ და გვჯერა, რომ მალე ისევ შევხვდებით ერთმანეთს – ნათქვამია კომუნა „მზესუმზირას“ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 7. გრძელბეწვიანი ტიბეტური ხარი; 11. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 13. რიგითი მეზღვაური; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 16. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 18. მდინარე ბაზელში; 19. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად.

**თარაზულად:** 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. კონდრატე თათარაშვილის რომანი; 9. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 14. მდინარე მისისიპის შენაკადი; 17. საერთაშორისო საინფორმაციო ქსელი; 20. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 23. ქართველი ასტროლოგი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*